საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 21 მაისი, 2013 წელი.

№92 (7219)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

გახდება თუ არა 17 მაისი დაბრკოლება ევროკავშირის გზაზე?

③

დღის ამბავი ურიდან:

– ლაშა ბულაძე „რუსთავი-2“-ის „პოზიციაში“ რაღაც საეჭვოდ ცისფერ ბულასავით ლაპარაკობდა...

ეროვნულისა და გლობალურის ჯახი

④

„მაიძულებდნენ თქმას, თითქოს წიგნებს ვიპარავდი და გია ხუბუასთან მიმქონდა“

⑨

რუსეთი დაინტერესებულია კანონის გაუქმებით და არა კოსმეტიკური ცვლილებებით

⑥

რა დაჯდა გმირთა მოედანზე ესტაკადის მშენებლობა?

②

საკომუნიკაციო ბაზარზე კონკურენცია გამქაფრდა – კომპანიებმა შემსყიდველს ნულოვანი ტარიფები წარუდგინეს

⑤

MAGTI

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ არაკოორდინირებულობა

პრეზიდენტის შენიშვნებს არ მივიღებთ

საგარეო საქმეთა სამინისტრო პრეზიდენტის შენიშვნებს არ მიიღებს. ამის შესახებ ორშაბათის ტრადიციულ პრესკონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა განაცხადა.

დავით ზალკალიანი მიხეილ სააკაშვილის განცხადებას გამოეხმაურა, სადაც პრეზიდენტმა შენიშვნა გამოთქვა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და უმრავლესობის წევრები მას უცხოურ ვიზიტებში არ დაჰყვებიან.

როგორც ზალკალიანი აცხადებს, სამწუხაროდ, პრეზიდენტის საჯარო განცხადებები რადიკალურად განსხვავდება პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის ქმედებებისგან და, შესაბამისად, უწყება ამ შენიშვნას არ მიიღებს.

ზალკალიანი ასევე გამოეხმაურა პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებას არაღიარების პოლიტიკასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ამ მიმართულებით ინტენსიურად მუშაობა.

დავით ზალკალიანი აცხადებს, რომ ყველა ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა სწორედ არაღიარების საკითხი და ამ საკითხზე ერთი დღითაც არ შეჩერებულა მუშაობა.

რაც შეეხება პრეზიდენტის კიდევ ერთ განცხადებას, რომლითაც ის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს მოუწოდებს, რომ ეკვადორში ვიზიტისას მაინც ახლდნენ, ამაზე ზალკალიანი განმარტავს, რომ ეკვადორში ვიზიტს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი გეგმავდა. ზალკალიანის განცხადებით, დავით უსუფაშვილს ბილეთებიც ჰქონდა აღებული და სასტუმროც დაჯავშნილი, თუმცა, გაირკვა, რომ პრეზიდენტი მიდის ეკვადორში და, აქედან გამომდინარე, უსუფაშვილი აღარ გაემგზავრება. საგარეო საქმეთა სამინისტროდან კი ამ შეხვედრას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია დაესწრება.

23-24 მაისს, ეკვადორში პრეზიდენტის ინაუგურაცია იმართება და სწორედ ამ ღონისძიებაზე დასასწრებად მიემართება ქართული დელეგაცია.

რაც შეეხება არაკოორდინირებულობას, ზალკალიანის განცხადებით, ეს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან დამოუკიდებელი მიზეზებით ხდება.

◎ ფრთხილად!

საზოგადოებრივი რისხვა გარდაუვალია!

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის განცხადება

17 მაისი – ჰომოფობიის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო დღე – სამწუხაროდ, მათი მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოყენებულ იქნა პროვოკაციული კუთხით; **მათი მიზანი იყო არა სექსუალური უმცირესობის უფლებების დაცვა, არამედ მართლმადიდებელი, ქართული მენტალიტეტის ადამიანების გაღიზიანება და გამოწვევა; ასევე ხელისუფლების ურთულეს სიტუაციაში ჩაყენება, მისი დისკრედიტაცია.** თუ არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ და უმცირესობების უფლებათა დამცველ ადამიანებს სურვილი ჰქონდათ, საერთაშორისო დღე აღენიშნათ, შესაძლებელი იყო, მისი ჩატარება ზედმეტი აჟიოტაჟისა და წინასწარი გამომწვევი განცხადებების გარეშე, თუნდაც არა საკუთრივ რუსთაველის გამზირზე.

მომხდარი აწყობდა იმ პოლიტიკურ სპექტრს, რომელსაც ჰგონია, რომ

მხოლოდ საზოგადოებრივი არეულობა, მკვეთრი შიდა სამოქალაქო დაპირისპირება და დესტაბილიზაცია ააცილებს პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე ჩადენილი სერიოზული დანაშაულისათვის.

ფაქტობრივად, უმცირესობის ლობისტებმა სცადეს სახელმწიფოსა და მთავრობის დისკრედიტაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე უცხოეთში. მათ კარგად იცოდნენ, რომ დაანონსებულ აქციას სერიოზული დაპირისპირება და შეხლა-შემოხლა მოჰყვებოდა, რაზედაც საჯარო განცხადება გაავრცელა საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ. რაც შეეხება ჟურნალისტების, პოლიციელებისა და მოქალაქეების მიმართ ფიზიკურ ძალადობას, შეფასებას იმსახურებს, **მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ უფრო უარესი შედეგი შეიძლება მოიტანოს საზოგადოებაში არსებულმა აფექტურმა განწყობამ, რომელიც, ძირითადად, სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენის გაუმართლებელი გაჭიანურებით იქნება გამოწვეული.**

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი მიმართავს საქართველოს მთავრობას, პარლამენტს, სერიოზული ყურადღება დაუთმოს ხალხის ფსიქოლოგიურ, მორალურ, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, საზოგადოებაში არსებულ მზარდ აგრესიულ-კრიტიკულ მუხტს, რომლის უმართავი განმუხტვა არც ქართულ სახელმწიფოს, არც საზოგადოებას, არც მთავრობას, არც უმრავლესობას, და, მათ შორის, არც პოლიტიკურ და სექსუალურ უმცირესობას სიკეთეს არ მოუტანს.

ფრთხილად, თუ უახლოეს მომავალში არ გატარდა მოსახლეობაში შექმნილი მძიმე ფსიქოლოგიური და სოციალური სიტუაციის განმუხტვისთვის აუცილებელი ადეკვატური პოლიტიკა, საზოგადოებრივი რისხვა გარდაუვალია!

◎ მიმართვა

„სახალხო კრება“ პრეზიდენტად ნინო ბურჯანაძეს მოიაზრებს

„სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭო მიმართავს არასაპარლამენტო ოპოზიციას, საზოგადოებას, სრულიად საქართველოს, მხარი დაუჭირონ ნინო ბურჯანაძის საქართველოს პრეზიდენტად არჩევას. ამის შესახებ ნათქვამია „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს განცხადებაში.



– დღეს, როგორც არასდროს, ჩვენს ქვეყანას გამოცდილი პოლიტიკოსი, პრინციპული და საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე პრეზიდენტი სჭირდება – სამართლიანობის აღდგენისათვის; სამოქალაქო მშვიდობის დამყარებისათვის; ხელისუფლების დაბალანსებისათვის; ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებისა და საერთაშორისო რეპუტაციის დაცვისათვის!

დღეს, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე გახლავთ ყველა ამ თვისების მქონე პოლიტიკოსი. ჩვენ, „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭო მივმართავთ არასაპარლამენტო ოპოზიციას, საზოგადოებას, სრულიად საქართველოს, მხარი დავუჭიროთ ნინო ბურჯანაძის საქართველოს პრეზიდენტად არჩევას! საქართველოს, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული პრეზიდენტი სჭირდება! ჩვენ ველით, რომ საქართველოში რეალურად კონკურენტული და სამართლიანი არჩევნები ჩატარდება, – ნათქვამია „სახალხო კრების“ განცხადებაში.

◎ მიღებს საკანონმდებლო პაკეტი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონპროექტს ხელი მოეწერა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონპროექტს და მასთან დაკავშირებულ კიდევ სამ საკანონმდებლო ინიციატივას, რომლებსაც პრეზიდენტმა ვეტო დაადო, პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა მოაწერა ხელი.

როგორც უსუფაშვილმა ჟურნალისტებს აცნობა, მის მიერ ხელმოწერილი საკანონმდებლო პაკეტი, სავარაუდოდ, დღესვე გამოქვეყნდება „საკანონმდებლო მაცნეში“.

– ხვალიდან კანონები ძალაში შევა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთთვიან პერიოდში უნდა ჩატარდეს მოსამართლეთა კონფერენცია და მათ უნდა აირჩიონ საკუთარი წარმომადგენლები იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. პარლამენტმა უნდა დაიწყოს პროცედურები იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არამოსამართლე წევრების შესარჩევად, – განუცხადა ჟურნალისტებს პარლამენტის თავმჯდომარემ.

ამასთან, უსუფაშვილის თქმით, პარლამენტის მხრიდან განსახორციელებელი პროცედურები დღეიდან დაიწყება. პარლამენტის თავმჯდომარე დღესვე გამოაქვეყნებს განცხადებას, სადაც აღწერილი იქნება ის ღონისძიებები, რომელიც პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების ასარჩევად უნდა გაატაროს.

◎ დედაქალაქი

რა დაჯდა გმირთა მოედანზე ესტაკადის მშენებლობა?

გმირთა მოედნის ავტომაგისტრალისა და ესტაკადის მშენებლობის სამუშაოებზე 114 864 750.06 ლარი დაიხარჯა. ამის შესახებ ინფორმაციას ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი – 6DF6 ავრცელებს.

IDFI-იმ გმირთა მოედანზე ესტაკადისა და ავტომაგისტრალის მშენებლობისა და პროექტირების სრული ხარჯთაღრიცხვის შესახებ მერიიდან ინფორმაცია ერთ-ერთი მოქალაქის თხოვნით გამოითხოვა.

მერიიდან მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით, გმირთა მოედნის ავტომაგისტრალთან დაკავშირებულ სამშენებლო და საპროექტო სამუშაოებზე სულ დაიხარჯა 114 864 750.06 ლარი და აღნიშნული თანხა შემდეგნაირად გადანაწილდა: ვარაზის ხევიდან თამარაშვილის ქუჩამდე ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებაზე დაიხარჯა 1 500 000 ლარი, ხოლო მშენებლობის სამუშაოებზე – 90 386 038,20 ლარი; ვერეს ხევზე მშენებარე საქალაქო ავტომაგისტრალიდან (იყალთოს მთის გავლით) საბურთალოს ქუჩამდე (იპოდრომამდე) და ი.ჭავჭავაძის გამზირიდან (ყოფილი მე-9 საავადმყოფოს შესასვლელიდან) ნ. რამიშვილის ქუჩამდე დამაკავშირებელი სატრანსპორტო გზების მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებაზე – 185 000, ხოლო მოწყობის სამუშაოების განხორციელებაზე 22 793 711,86 ლარი დაიხარჯა.

ვარაზის ხევიდან თამარაშვილის ქუჩამდე ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე სახელმწიფო ტენდერი 2009 წლის 1 ივლისს გამოცხადდა. ტენდერში გაიმარჯვა კომპანია „კაუკასუს როუდ პროჯექტმა“, რომელიც 2005 წელს დაარსდა და რომლის დირექტორიც 2012 წლის ივლისამდე იყო პაატა ტრაპაიძე, შემდგომში დასაქმების სახელმწიფო მინისტრი. კომპანიის მიერ განხორციელებულ პროექტებს შორისაა მესტიის აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი, მთავრობის სახლი ქუთაისში, ანაკლია-განმუხურის ხის საფეხმავლო ხიდი და სხვ.

რაც შეეხება ჭავჭავაძის გამზირიდან ნ. რამიშვილის ქუჩამდე და ვერეს ხევის ახალი ავტომაგისტრალიდან თამარაშვილის ქუჩამდე დამაკავშირებელი სატრანსპორტო გზის და გვირაბის (იყალთოს მთის გავლით) მოწყობაზე გაწეულ ხარჯებს, თბილისის მერიიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით ხარჯმა შეადგინა 22 793 711,86 ლარი. აღნიშნული ავტომაგისტრალის მშენებლობისთვის გამოცხადებულ ტენდერშიც ასევე „კაუკასუს როუდ პროჯექტმა“ გაიმარჯვა. მასთან ხელშეკრულება 2011 წლის 5 მაისს გაფორმდა.

გმირთა მოედნის ავტომაგისტრალისა და ესტაკადის მშენებლობის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის შესახებ სტატია საჯარო ინფორმაციის ანალიტიკურ ბლოგზე გამოქვეყნდა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გახდება თუ არა 17 მაისი დაბრკოლება ევროკავშირის გზაზე?

უცხოური მედიასაშუალებები ღიად აცხადებენ, რომ 17 მაისს, ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს თბილისში განვითარებული მოვლენები ევროსტრუქტურებში გაწევრების გზაზე შემაფერხებელი ფაქტორია.

„საქართველოს ძალიან სურს ევროკავშირში გაწევრიანება. თუმცა, არსებობს საშიშროება, რომ მისი ევროკავშირისკენ სწრაფვა ვერ განხორციელდეს, თუ საქართველოს ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს სექსუალური უმცირესობების უფლებას — უსაფრთხოდ გამართონ დემონსტრაცია,“ — წერს „ბიბისი“.

ასეთივე განწყობას ავლენს Foreign Policy, სადაც განმარტავენ, რომ დემონსტრაციამდე ორი დღით ადრე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველოში სექსუალურ უმცირესობებს იგივე უფლებებები აქვთ, რაც სოციალური ფენების სხვა წარმომადგენლებს და, რომ საზოგადოება ამას „თანდათანობით მიეჩვევა“. თუმცა, თუ თბილისში 17 მაისს განვითარებული მოვლენებით ვიმსჯელებთ, ქართულ საზოგადოებას ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასასვლელი“.

„ევრონიუსი“ კი აღნიშნავს, რომ საქართველოში ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე დრამატულად დასრულდა. კერძოდ, რელიგიურ და ეროვნულ სამოსში გამოწყობილი დემონსტრანტები თბილისის მთავარ მოედანზე შეიკრიბნენ და ეროვნულ სლოგანებს სკანდირებდნენ.

ასევე, „ევრონიუსი“ ციტირებს არქიმანდრიტ იოანეს კომენტარს: **„ასეთი აქციები ჩვენთვის მიუღებელია. მათ გარკვეული ძალები აფინანსებენ და ჩვენი მოთმინების გამოცდა უნდათ, რადგან ჰგონიათ, რომ შეცდომას დაგვაშვებინებენ. მერე კი თავიანთ გეგმებს განახორციელებენ“.**

„ბიბისის“ კორესპონდენტი დემიენ მაკგინესი კი მიიჩნევს, რომ ეს არ იყო მემარჯვენე ექსტრემისტთა ბრბო. ესენი ჩვეულებრივი ქართველები იყვნენ: **„ზოგიერთი ერთობ პატივსაცემი მოხუცი ქალბატონიც იყო, ასევე, იყვნენ ასაკოვანი მამაკაცები და კარგად ჩაცმული ახალგაზრდები. მათ ლიდერობას კი ეკლესიის მღვდლები უწევდნენ. გაშმაგებულმა ბრბომ ადვილად გაარღვია პოლიციის კორდონი და ქვები დაუშინა იმ ავტობუსს, რომელშიც პოლიციამ ჰომოსექსუალთა უფლებების დამცველები მოათავსა“.**

„საქართველო ერთ-ერთია იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან, რომელიც კანონით კრძალავს ჰომოსექსუალთა დისკრიმინაციას. თუმცა, ტრადიციულ ორთოდოქსულ ქვეყანაში ჰომოსექსუალობა ნორმიდან გადახრად ითვლება. შედეგად ჰომოსექსუალი ადამიანები ხშირად ხდებიან ძალადობისა და შეურაცხყოფის სამიზნე“, — აღნიშნავს ბრიტანული Daily Mail-ი.

უცხოური მედიის ასეთ შეფასებას ევროკავშირის ელჩების შეფასებები ემატება, რომლებიც თბილისის ქუჩებში მომხდარი ძალადობით გაოგნებულნი არიან და სოლიდარობას უცხადებენ დაშავებულებს.

საინტერესოა, უცხოური მედიის ასეთი კრიტიკული ტონი ხომ არ არის იმის მაუწყებელი, რომ მომხდარის გამო ნატოსა და ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე საქართველოს შეფერხებები ელოდება. ამის შესახებ For.ge-სთან საუბარში პოლიტოლოგები განსხვავებულ მოსაზრებებს აფიქსირებენ.

პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის თავმჯდომარე გია ვოლსკი ეჭვობს, რომ **მომხდარმა ევროსტრუქტურებში ჩვენს სწრაფვას ხელი შეუშალოს. მისი თქმით, საზოგადოების განვითარების შეფასება ასე იოლი არ არის, რადგან ქართველ ხალხს ძალიან ბევრი ღირსება აქვს. ეს დასტურდება ჩვენი ხალხის მოწყალებით, ტოლერანტობით. ქართველი ერის ფასეულობები კი ისტორიულ განზომილებაში შეიძლება განვიხილოთ.**

ამის მიუხედავად, გია ვოლსკი მიიჩნევს, რომ **არც ერთი ჯგუფის მხრიდან ძალადობის გამოხატვა არ შეიძლება და სახელმწიფო ვალდებულია, ძალადობისგან დაიცვას ნებისმიერი მოქალაქე. თუმცა პარლამენტარი ლგბტ-ს აქციას უფრო სხვა ჭრილში განიხილავს. კერძოდ, ეროვნული უსაფრთხოების საკითხიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ თითქმის ჩიხური სიტუაცია შეიქმნა. ამიტომ ამ ჩიხური სიტუაციის გამო პასუხისმგებლობა ყველამ უნდა გაითავისოს — ლგბტ მოქალაქეებმაც და ჩვეულებრივმა მოქალაქეებმაც, რადგან სახელმწიფოს ტერიტორიული უსაფრთხოება საფრთხის ქვეშაა. ასე რომ, ამგვარი დაპირისპირებით ეროვნულ უსაფრთხოებას ექმნება პრობლემები.**

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე აცხადებს, რომ **ლგბტ აქციამდე იგი საკუთარ თავს ევროპული გზის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ქომაგად თვლიდა, რადგან მან კარგად იცის, თუ რა არის ევროპა, უამრავჯერ ყოფილა ევროპაში და მათი ღირებულებები და ფასეულობები მისთვის ახლობელი იყო.**

„თუმცა, თუკი ევროპა არის, ბოდიში და, პედერასტებისა და ლესბოსელების ადგილ-სამყოფელი, მაშინ მე არ მინდა ასეთი ევროპა. ასეთი ევროპელების არ მესმის. ძალადობის დაგმობა სწორია და ამაში ყველას ვეთანხმები, ცემა-ტყეპა არ შეიძლებოდა, მაგრამ ეს იყო გარკვეული პოლიტიკური წრეების წაუგებლად დაგეგმილი თამაში. მათი გათვლით, თუ ეს „პარადი“ შედგებოდა და ლგბტ საზოგადოებისთვის წარმატებით დამთავრდებოდა, მაშინ, რასაკვირველია, ქართული საზოგადოების უმრავლესობაში შეირყეოდა „ქართული ოცნებისა“ და პირადად ივანიშვილის რეპუტაცია; ხოლო, თუ ცემა-ტყეპით დამთავრდებოდა, მაშინ უკვე ევროპაში შეგველახებოდა იმიჯი. ამიტომ დიდი ეჭვი მაქვს, რომ ამ გათვლაზე თამაშობდა „იდენტობა“, რადგან ყველამ იცის, რომ ივანიშვილი ერთგული მეოჯახეა და ქართულ ხელისუფლებაში ასეთი მეოჯახე კაცი არ მეგულება. მისთვის კერპია ოჯახი, ამიტომ ეს აქცია ძალიან სარისკო იყო“, — მიიჩნევს სოსო ცინცაძე.

მისი თქმით, **თუკი საქართველოში გეი-აღლუმები თავისუფლად ჩატარდება და ერთსქესიან ქორწინებამდე მივა ჩვენი ქვეყანა, სამმილიონიანი ქვეყნისთვის ეს მომაკვდინებელი და ერის გამრავლების წინააღმდეგ პირველი საშინელი მახვილი იქნება.**

ამავდროულად, სოსო ცინცაძე გაოცებულია, **თუკი ქართველებისგან მოითხოვენ ჰომოსექსუალების აქციების ჩატარებას, მაშინ რატომ არიან ევროკავშირის და ნატოს წევრები ლიტვა, ლატვია და ესტონეთი, სადაც აკრძალულია ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა. მეტიც, ევროკავშირში ყოველგვარი პრობლემის გარეშე იღებენ კოსოვოს, სადაც დარბევა კი არა, საშინელებები ხდება, სადაც მათი პრემიერ-მინისტრი პირველი ნარკობარონია. გარდა ამისა, ევროკავშირში იღებენ მაკედონიას, ჩერნოგორიას, სადაც კაცმა არ იცის, რა ხდება.**

ამიტომ, პოლიტოლოგის აზრით, **ევროჩინოვნიკების პირფერობა და ცინიზმი ნატოსა და ევროკავშირში ჩვენს ინტეგრაციას უნდა უკავშირდებოდეს. კერძოდ, ევროჩინოვნიკებმა არ იციან, რა საბაბი მოიგონონ, რომ საქართველოს კიდევ გადაუწიონ ნატოსა და ევროკავშირში მიღება, რადგან „გულახდილად რომ ვთქვათ, ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს მიღება არც ერთ ევროპელ ჩინოვნიკს არ სურს“.**

პოლიტოლოგი, ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი კახა გოგოლაშვილი მიიჩნევს, რომ **ლგბტ აქციის ამგვარი მეთოდით ჩაშლა ძალიან დიდი დაბრკოლებაა ევროკავშირის გზაზე. მეტიც — დასავლურ სტრუქტურებში — ნატოსა თუ ევროკავშირში გაწევრებისთვის დემოკრატიული განვითარება ყველაზე მთავარი კრიტერიუმია. დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი კი უმცირესობების უფლებების დაცვაა.**

„ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღეს დაირღვა როგორც გამოხატვის თავისუფლება, ისე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო უსაფრთხოება და კვაზი სახელმწიფოებრივმა სტრუქტურებმა განახორციელეს ძალაუფლება ქვეყანაში, რითაც მოხდა სახელმწიფო ინსტიტუტების ჩავარდნა. კერძოდ, ეკლესიამ თავისი ფუნქციების განხორციელება მოახდინა სახელმწიფოს მაგივრად და თავისი კანონებით იმოქმედა, რაც ჩვენს კონსტიტუციასთან შეუსაბამოა. ეს ნიშნავს, რომ დემოკრატიული განვითარებით საქართველო ჩამორჩენილია. აღმოჩნდა, რომ სამართალდამცავი სტრუქტურები ვერ არიან სათანადო სიმაღლეზე, ქართული საზოგადოება აღმოჩნდა საკმაოდ გაუთვითცნობიერებელი და აგრესიული, თანაც, ეს მოხდა საქართველოს დედაქალაქში, სადაც მოსახლეობის განათლების დონე შედარებით მაღალია, ვიდრე რეგიონებში“, — აცხადებს კახა გოგოლაშვილი.

ამასთან, მიიჩნევს, რომ **ევროპის თვალში ეს ძალიან დიდი დარტყმა და იმიჯის შელახვა იყო, დანგრეული იმიჯის აღდგენა კი რთულია. ამ დროს კი ჩვენ ვიძახდით, რომ ვართ მომწიფებული საზოგადოება, ჩვენი მოსახლეობის 80 %-მდე სურთ ევროკავშირში გაწევრიანება. თუმცა, აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ამისთვის აბსოლუტურად მზად არ არის.**

მანანა ნოზაძე

◎ ალიან-ჩალიანი

საქალაქო სასამართლო „საქართველოს რკინიგზის“ საქმეზე ბრალდებულებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

თბილისის საქალაქო სასამართლოში „საქართველოს რკინიგზის“ საქმეზე ბრალდებულებთან დაკავშირებით, განცხადება გაკეთდა. საქალაქო სასამართლოს განცხადებას „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

— თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დაკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის ბრალდებულების — ირაკლი თოდუას, ბადრი წილოსანის, ვლადიმერ აბულაძის, დავით ჯინჯოლიას, მამუკა დოლიძის, გიორგი ჟღენტისა და აბელ გიორგობიანის მიმართ პატიმრობის გამოყენების თაობაზე და სასამართლომ ბრალდებულები აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა, შესაბამისად, ისინი გათავისუფლდნენ სასამართლო სხდომის დარბაზიდან; ხოლო, ბრალდებულ ირაკლი ეზუგბაიას შეეფარდა პატიმრობა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ შუამდგომლობის განხილვისას ბრალდების მხარის მიერ სათანადოდ ვერ იქნა დასაბუთებული არათუ პატიმრობის, არამედ ზოგადად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური საფუძვლები და დაკავებისას არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნები, კერძოდ, ბრალდებულები დაკავებულნი იქნენ სასამართლოს განჩინების გარეშე, მაშინ როდესაც არ არსებობდა ბრალდებულთა დაკავების გადაუდებელი აუცილებლობა, აღნიშნული კი საქართველოს სსსკ-ის 176-ე მუხლის (პირველი ნაწილის „ე„ ქვეპუნქტის) თანახმად, წარმოადგენს დაკავებულთა გათავისუფლების საფუძველს. ბრალდებულები დაკავებულნი იქნენ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ადმინისტრაციულ შენობაში. შუამდგომლობაზე თანდართული მასალების თანახმად, ბრალდებულები დაკავებამდე ყველა გამოძახებისთანავე ცხადდებოდნენ საგამოძიებო ორგანოში და მონაწილეობდნენ საგამოძიებო მოქმედებებში, მათ მიმართ არ გამოყენებულა საგამოძიებო ორგანოში იძულებითი წარმოდგენის ღონისძიება, შესაბამისად, არ არსებობდა ბრალდებულთა მიმალვის საფრთხე, რაც საფუძვლად დაედო მოსამართლის განჩინების გარეშე მათ დაკავებას. ამასთანავე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არის დასაბუთებული, ბრალდებულთა მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის, ასევე, პროცესის მონაწილეებზე ზემოქმედების და გამოძიებისთვის ხელის შეშლის საფრთხე და კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდებულთა სათანადო ქცევა, მათი საგამოძიებო ორგანოებსა და სასამართლოში გამოცხადება უზრუნველყოფილი იქნება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების გარეშეც. ასევე მხედველობაში მიღებულ იქნა ბრალდებულთა პიროვნებები, მათი წარსული საქმიანობა, ოჯახური მდგომარეობა, ასევე ის ფაქტი რომ ბრალდებულები წარსულში არ არიან ნასამართლევნი. შესაბამისად, ბრალდებულთა მიმართ არ იქნა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახე. რაც შეეხება ბრალდებულ ირაკლი ეზუგბაიას მის მიმართ გამოყენებულ იქნა პატიმრობა, ვინაიდან ბრალდებული თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებსა და სასამართლოში გამოცხადებას.

აღნიშნულ საქმეზე წინასასამართლო სხდომა გაიმართება 2013 წლის 9 ივლისს 12 საათზე“, — აცხადებენ სასამართლოში.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ეროვნულისა და გლობალურის ჯაჭი

ასე შეიძლება დავახასიათოთ 17 მაისს თბილისში განვითარებული მოვლენები, რომლებაც მსოფლიოს ყურადღება მიიპყრეს. ეს იყო გლობალისტური ძალების და მათი საყრდენების (როგორც ნაციონალურ მოძრაობაში, ისე ხელისუფლებაში) რევანშისტული გამოხდომა და პროვოკაცია პირადად ბიძინა ივანიშვილისა და პატრიარქის წინააღმდეგ, რაც მიზნად ისახავდა მათი ავტორიტეტის დაცემას „დემოკრატიული“ მსოფლიოს თვალში, მათ გამოყვანას ბნელ და მოძალადე მხარედ. ვინაიდან გლობალური ძალები მთელ მსოფლიოში და ნაწილობრივ საქართველოშიც აკონტროლებენ მასმედიას, მათ დასავლეთში შექმნეს ისეთი სურათი, თითქოს ველურმა და უკულტურო ქართველებმა კიდევ ერთხელ შეირცხვინეს თავი, ვერ ჩააბარეს დემოკრატიის ტესტი. ასეთი სურათის შექმნას ხელი შეუწყო იმანაც, რომ აქციის მონაწილე ზოგიერთმა რადიკალმა მართლაც გადააჭარბა დადგენილ ნორმას და აგრესიულად მოიქცა. რა მოხდა სინამდვილეში, რა დასკვნები შეიძლება გაკეთდეს 17 მაისის მოვლენებიდან, საით უნდა წავიდეს საქართველო?

სინამდვილეში ეს იყო დასავლური (ამერიკული) ცხოვრების წესის შეჯახება ქართული ცხოვრების წესთან. ჰომოსექსუალიზმი და ლესბოსელობა ამერიკელებს ესმით როგორც თავისუფლების გამოვლინება, ქართული ცხოვრების წესისათვის, ჩვენი ფსიქოლოგიისთვის კი ეს სრულიად მიუღებელია. ჩვენ თავისუფლება სხვაგვარად გვესმის, თავისუფლების სხვა იდეალები გვაქვს. ამიტომ არის, რომ ასეთი სტერეოტიპების დანერგვა ჩვენში აწყდება და მომავალში ყოველთვის წააწყდება დიდ წინააღმდეგობას. ჩვენ გვაქვს უფლება გადმოვიღოთ დასავლეთიდან ის, რაც ჩვენ მოგვწონს და მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ჩვენი ეკონომიკის თუ კულტურის განვითარებისათვის, მაგრამ, როცა ამას ძალადობრივი ხასიათი აქვს და უკავშირდება ჩვენთვის მიუღებელ და უცხო წესების ძალით დანერგვას ან ფულით წახალისებას, ის აუცილებლად დამარცხდება.

ქართველობას მთელი თავისი ისტორია ძალადობასთან ბრძოლაში აქვს გატარებული და შინაგანად იგი ძალადობის მოწინააღმდეგეა, განსაკუთრებით ე.წ. „უსუსური“ უმცირესობების მიმართ. ცალკე აღებულ ასეთ ადამიანებს არავინ ერჩის, სახლში არავინ უვარდება. ტელევიზიებიც პირველ რიგში მათ იწვევენ, არ უჭირთ მატერიალურად (ჩვენგან განსხვავებით), თავისუფლად გამოთქვამენ თავიანთ აზრს (ასევე ჩვენგან განსხვავებით), მაგრამ ისინი ამას არ ჯერდებიან და უკვე ლიდერობას ცდილობენ, ლამის მისაბაძ ადამიანებად წარმოგვიდგენენ თავს და დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენენ მოზარდებზე (თუ მხოლოდ პროტესტი უნდოდათ, რატომ დარბაზში არ გამოხატეს ან „რუსთავი-2“-ში შეკრებილიყვნენ ყველანი ერთად?). ყველაზე ცუდი კი ის გახლავთ, რომ ყოველივე ამას ისინი დიდი გრანტებისა და ფულისათვის აკეთებენ, სასიამოვნოსა და სასარგებლოს ერთმანეთს უთავსებენ და ჩვენს გაღარიბებულ და დამცირებულ მოსახლეობას იწვევენ და აბუჩად იგდებენ. შესაბამისად, მათმა რეაქციამაც არ დააყოვნა და 50 ათასზე მეტი კაცის მრისხანე პროტესტად იჩინა თავი.

ეს იყო ქართული, ეროვნული ძალების ყველაზე ხმამაღალი პროტესტი XXI საუკუნეში ჩვენთვის მიუღებელი და უცხო „ღირებულებების“ ძალით და ფულით დამკვიდრების წინააღმდეგ. ეს იყო ასევე გარკვეული მინიშნება ახალი ხელისუფლების მიმართაც, რომ თუ ისინი ნაციონალებივით ფულზე გაიყიდებიან და უცხოურ, მიუღებელი წესების დამკვიდრებას შეეცდებიან, მათაც იგივე დაემართებათ, ხალხი არც მათ აპატიებს და განაჩენს გამოუტანს. 17 მაისის მოვლენებმა კარგად აჩვენა ისიც, რომ საძირკვლის გარეშე ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა ბაბილონის მოდულის ბედს გაიზიარებს. ეს საძირკველი კი არის ეროვნული იდეოლოგია თავისი 10 პარამეტრით, ქართული ცხოვრების წესი, ღირებული და პრაგმატული მამაპაპური ტრადიციები, ზნეობა და რწმენა.

თუ ბიძინა ივანიშვილი მოინდომებს ამ ნათელი გზით სიარულს (მისი ბიოგრაფია იძლევა ამაში დარწმუნების საშუალებას), მას ურიცხვი მხარდამჭერები ეყოლება ამ ძნელ ბრძოლაში — მთელი ქართველობა მას მხარში დაუდგება. ამ გზაზე კი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა, რომლითაც იგი საბოლოოდ მოიცილებს ნაციონალებს და იმ ბალასტს, რომელიც მას კოალიციაში დაუგროვდა.

ვაჟა შუბითიძე

⊙ ინფორმაცია

ვანუატუმ აფხაზეთის აღიარება გააუქმა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ვანუატუს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების გადაწყვეტილების გაუქმებას „სერიოზულ დიპლომატიურ მიღწევად“ აფასებს და აცხადებს, რომ ვანუატუ საქართველოსთან დიპლომატიურ ურთიერთობებს დაამყარებს.

— დღეს სერიოზული დიპლომატიური შედეგი იქნა მიღწეული. ახლახან ვანუატუს პრემიერ-მინისტრმა დამიდასტურა თავისი გადაწყვეტილების შესახებ, რომ გადაიფიქრეს აფხაზეთის აღიარების გადაწყვეტილების მიღება, რომ ისინი აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ამყარებენ დიპლომატიურ ურთიერთობას საქართველოსთან. ალბათ, ქართველების უმეტესობას ვანუატუს სახელმწიფოს შესახებ არც გაუგია და ამაზე ცოტა რამ იცის, მაგრამ რატომ არის ეს მნიშვნელვანი? იმიტომ, რომ რუსეთის მიერ მთელს მსოფლიოში სირბილის, მოსყიდვის, შანტაჟის, მთელი დიპლომატიური რესურსების ჩართვის შემდეგ ესაა პირველი პრეცედენტი, როცა ერთ-ერთმა ქვეყანამ, რომელიც რუსეთს დათანხმდა, თავისი აზრი შეიცვალა. ჩვენ ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში მცდელობა არ დაგვიკლია, რომ მათ ეს გადაწყვეტილება შეეცვალათ. ესაა პირველი პრეცედენტი, როცა რუსეთმა დიპლომატიურ ფრონტზე განიცადა ძალიან სერიოზული მარცხი. დარწმუნებული ვარ, არა უკანასკნელი, — აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

მისივე განმარტებით, აღნიშნულის მიღწევა დასავლელი პარტნიორების დამსახურებაა.

ინტერპრესი

ისე, მედალს ისევ ორი მხარე აქვს...

რასაკვირველია, დასაგმობია, გასაკიცხია, დასასჯელია ადამიანთა გათრევა-გამოთრევა, ტანისამოსის შემოფხრეწა, ცხვირ-პირის დასისხლიანება (თუნდაც ეს ჩიორა თაქთაქიშვილის ყველგან „ჩაყოფილი“ ცხვირი და მოუმუწავი პირი იყოს)... თუმცა, სულო ცოდვილო, აქვე უნდა გამოვტყდე: ცდუნებას ვერ ვუძლებ, რომ დიდი გალაკტიონისგან სესხებით არ წავუმღერო — ოცნებაო, მტერო ჭირის, იმედის ხარ მაყარი; კიდევ ბევრი ცხვირიც, პირიც დარჩა დაუნაყავი...

მოდით, გასულ პარასკევს თბილისში, მთავარ გამზირზე, ცენტრალურ მოედანზე და მის იქაურ ახლო შემოგარენში აგორებული დრამა პირობითად როგორც მედალი წარმოვიდგინოთ; ახლა მხოლოდ მის ერთ მხარეზე წერენ და ლაპარაკობენ — სექსუალურ უმცირესობათა მიმართ (რომლებიც გინდა აბურდული აბრევიატურით — ლგბტ-თი შეგიფფუთავს და გინდა არასამთავრობო ორგანიზაციების თვალუწვდენი მწკრივიდან ერთ-ერთით, ელეგანტურად სახელწოდებული „იდენტობით“) საზოგადოების უმრავლესობის აგრესიასა თუ ძალადობაზე.

ოღონდ თუ შევთანხმდებით და 17 მაისს მომხდარს მართლაც მედლად აღვიქვამთ, მაშინ ეგებ ჩემს კვალდაკვალ ან თვალდათვალ, მედლის მეორე მხარის არსებობაც გავიხსენოთ და მასაც ძალადობის, ზეწოლის კუთხით შევხედოთ — როგორც ფსიქოლოგიური ძალადობის, ფსიქოლოგიური ზეწოლისა; შევხედოთ როგორც იდენტობისტების (სწორხაზოვანი, შეუფუთავი თქმით, სექსუალური უმცირესობების) „პირიქით“ ძალადობას, ჯიბრით, ჯინით ძალადობას უმრავლესობის ცნობიერებაზე, სულიერებაზე, ზნეობრივ ნორმებზე, ტრადიციულ მორალზე, თუ გნებავთ, ქართულ ოჯახურობასა თუ მამაპაპურობაზე; შევხედოთ, როგორც ლგბტ-ისტების უკან მდგარი გარკვეული ძალებისაგან (რომელთა გარკვევა თუ დასახელება მეც კი არ გამიჭირდებოდა) მაგ „ისტების“ წაქეზებას, საზოგადოების უმრავლესობაზე მიგდებას, აქციის შეგნებულ, თუმცა, სახიფათო ლეგიტიმირებას — რომ მომხდარიყო არეულ-დარეულობა, შეხლა-შემოხლა, უწესრიგობა, ქაოსი, „უკეთეს“ შემთხვევაში სისხლისღვრაც; რომ მაღალი დემოკრატიულობით, ფასეულობებით, ღირებულებებით სახელგანსმენილ ევროპასა თუ აშშ-სთან, ოკეანის გამოღმასა თუ გაღმასთან „ჩაეშვათ“ ახალი ქართული მთავრობა და პრემიერი, დაენახვინებინათ მათი „ნამდვილი“ სახე, რომ მორიგი ქულები ჩაეწერათ თვალთმაქცი უცხოეთის თვალში — აი, ვინ მოვიდა ჩვენს ნაცვლად პოსტნაცურ საქართველოშიო. ეგებ ხალხისა და ფართო საზოგადოებრიობის ამხედრებაც ჰქონდათ ჩაფიქრებული. ასე შევხედოთ-მეთქი „მედლის“ მეორე მხარეს და იქნებ აგრე მაღალ ხმაზე „აჟღერებული“ ახლანდელი შეფასებები გადავაფასებინოთ საზღვარშიგნით და საზღვარგარეთაც.

თორემ ეგ 17 მაისი, ჰომოფობიის დღეა თუ ჰომოფობიის საწინააღმდეგო, იმას ხომ არ ნიშნავდა, რომ დღისით, მზისით, მაინცდამაინც და გამომწვევად რუსთველზე აღნიშნულიყო, პარლამენტის ექსშენობასთან, წმინდა ადგილას, უდანაშაულო სისხლით არაერთხელ მორწყულ ადგილას. ეგ იდენტობისტებია თუ იდიოტობისტები, მაგათთვის ხომ შეიძლებოდა მერიას სხვაგან, უფრო „მოფარებულში“ დაეგეგმა აქცია და მოეწყო სააღლუმო „პლაცი“, ვთქვათ, სადმე ქალაქგარეთ? რა, ღმერთი გაუწყრებოდათ, მერ გიგის თუ უშიშროების შეფ გიგას, თავად „უშიშარ, ვითარცა უხორცო“ მიშას? აქვე სათქმელად, მგონი, არც ის იქნებოდა ურიგო, რომ საპატრიარქოს ასე გვიან, „წკიპზე“, 16 მაისს არ მიემართა მერიისათვის აქციაზე გაცემული ნებართვის გაუქმების თაობაზე; ეს ადრე უნდა გაეკეთებინათ, თუნდაც ერთი კვირის წინათ ეგებ უფრო დაფიქრებულიყო გიგის „დაქვემდებარებული“ უწყება, ვიდრე ცივ უარს ააფრიალებდა...

ასე იყო თუ ისე, მოხდა, რაც მოხდა და მოხდა, როგორც მოხდა — ცრუპრეზიდენტის გასახარად, ნაცმოძრაობისგან ნიშნისმოსაგებად, საპარლამენტო უმწირესობის საქირქილოდ, ეთერში „რუსთავი-2“-ის გასანავარდებლად. აკი დაჰკრეს კიდევაც ტაში რუსთვიორელებმა — ამფერ, ჩვენო დათუნებო, ჩვენო ერთგულო აქტივისტებოო და „გამოაეთერეს“ სააკაშვილი, რა თქმა უნდა, მერე გაბაშვილი, ბოკერია-ჩერგოლეიშვილის ტანდემი, თაქთაქიშვილი, ჯაფარიძე, კიდომ სხვა „შვილი“ და კიდომ სხვა „ძე“...

სააკაშვილმა, 17 მაისი საქართველოს საერთაშორისო იმიჯზე იმოქმედებსო (იმ აგვისტოს სახოხავ დღეს რად არ გაახსენდა ქვეყნის ავტორიტეტი, ან იმ შვიდ ნოემბერს, ან იმ 26 მაისს...); გაბაშვილმა, ეს ხელისუფლების სიბნელე იყოო (იმ 26 მაისის ღამეს ხომ მაშინდელი ხელისუფლების „სიკაშკაშე“ იყო ჩამომდგარი; ბოკერიამ, ხელისუფლებამ წესრიგი ვერ უზრუნველყოო (თითქოს თავად ხელისუფალი არ იყოს, თანაც უშიშროების ბოსი); ჩერგოლეიშვილმა — სასულიერო პირებს ტაბურეტები რად უნდა ჭეროდათო („ტაბულას“ მრავალათასხელფასიან შეფს გამრავლების ტაბულა და ტაბურეტების თვლა კარგად აუთვისებია, თუმცა, ადრინდელი დარბევებისას ნიღბიანთა მოსათვლელად და „გასამრავლებლად“ არ გამოუყენებია...); თაქთაქიშვილმა ხომ მორიგ ჯერზე აატარტარა „აღმოჩენილი“ ენა (იმ შვიდ ნოემბერს თუ იმ 26 მაისს, გინდა იმ აგვისტოს დღეებში ვერ მოსთხოვდით იმგვარ „დამაჯერებელ“, „არგუმენტირებულ“ კომენტარებს, როგორითაც ახლა, პოსტნაცურ სივრცეში გვანცვიფრებს — მაშინ ჯერ კიდევ აღმოსაჩენი იყო ნაცმოძრაობისაგან...) — და ასე შემდგომ და ასე ქვემოთ...

დიახ, სექსუმცირესობებს ბლომად დამცველი გამოუჩნდა მათთა „უფლებათა“ საზღვარგარეთიდან თუ „საზღვარშიგნეთიდან“... აბა ჰე, თქვენ იცით, ეგებ ამ დაცვა-დაცვაში ორი მამაკაცის ან ორი დედაკაცის ერთმანეთთან შეუღლება-დაქორწინებაც დაგვიკანონოთ... როგორც ეს უქნიათ საფრანგეთში, ამ მაღალკულტურულ, მაღალევროპულ, მაღალფასეულობებიან ქვეყანაში...

ერთსაც გეტყვით ბოლოში, მორიგ ჯერზე აღადავებულო ნაცებო, თქვენი დაცვის ქვეშ მყოფ სექსუმცირესობებიანა: ამდენს რომ ესხმით თავს და ამუნათებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, წესრიგი ვერ უზრუნველყოო — ერთი არ ჩარეულიყო პოლიცია და მაშინ ვნახავდი თქვენს ბუმბულს, გაშლილს, გაფანტულს ველადა...

გერდია გედოიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ღია ელექტრონული ტენდერები – ეკონომია სახელმწიფო ბიუჯეტში

საკომუნიკაციო ბაზარზე კონკურენცია გამძაფრდა – კომპანიებმა შემსყიდველს ნულოვანი ტარიფები წარუდგინეს

როგორც ჩანს, ის ფაქტი, რომ სახელმწიფო საკუთარ ინტერესს რომელიმე ჩინოვნიკის პირად კეთილდღეობაში აღარ გაცვლის და შესყიდვებზე არსებული გარიგებები ხილული გახდა, არც თუ ისე სასიამოვნოდ დაურჩა ტენდერში დამარცხებულ ან ტენდერსმილმა დარჩენილ კომპანიებს. არადა, ღია ელექტრონულ ვაჭრობას ლოგიკურად ვერ შეედავები.

„ჯეოსელში“ მიაჩნიათ, რომ ტენდერით, სადაც შემსყიდველმა ტარიფები წინასწარ დააფიქსირა, კავშირგაბმულობის ბაზარზე არაჯანსაღი კონკურენციის პირობები შექმნა.

თავის მხრივ უკმაყოფილოა ბილაინიც, კომპანიაში თვლიან, რომ კონსოლიდირებული ტენდერი დისკრიმინაციულ პირობებში ჩატარდა, რამაც შესაბამისად შექმნა არაჯანსაღკონკურენტული გარემო. შპს „მობიტელის“ („ბილაინი“) გენერალური დირექტორის თქმით, ტენდერში მონაწილე კომპანიებისთვის აუცილებელ საკვალიფიკაციო მოთხოვნად ითვლებოდა მე-3 თაობის ქსელი, რომელიც კომპანიას არ აქვს, რადგან მის მოსაწყობად შესაბამისი სიხშირეების არარსებობის გამო ლიცენზია არ გაიცემა. სწორედ ამიტომ დარჩა ბილაინი ტენდერსმილმა, თუმცა, ტყეშელაშვილისვე განმარტებით, ტენდერმა დაამტკიცა კიდევ ერთი უსამართლობა: „ტენდერით განსაზღვრული პირობებით საჯარო მოხელეები მაგთისა და ჯეოსელის აბონენტებთან დაკავშირებისას მხოლოდ ზარის წამოწყების ღირებულებას იხდიან და შემდეგ 30 წუთის განმავლობაში უფასოდ საუბრობენ. ბილაინის ქსელზე დარეკვისას კი წუთში 11 თეთრის გადახდა უწევთ – ეს კი მოტივაციაა იმისთვის, რომ ამ ქსელთან მინიმალურად იკონტაქტონ“...

დავიწყოთ ბილაინიდან. შემსყიდველს სრული უფლება აქვს, მოითხოვოს უკეთესი სერვისი და გაუგებარი იქნებოდა, რომ მე-3 თაობის ქსელის არსებობის პირობებში სახელმწიფო ნაკლებს დასჯერებოდა. სიხშირეებთან დაკავშირებით არსებული შენიშვნები ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვერ დაუკავშირდება სახელმწიფო შესყიდვების სამსახურს. რაც შეეხება მობიტელის აბონენტებთან საუბრისას წუთის ღირებულებას, უნდა ითქვას, რომ მედალს ორი მხარე აქვს: კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის 2010 წლის დადგენილებით, მაგთისა და ჯეოსელს ბილაინის ქსელში ჩართვის ღირებულება უნდა გადაეხადათ 14.8 თეთრი, ხოლო იგივე მომსახურებისთვის ბილაინს ამ კომპანიებთან 8 თეთრი განესაზღვრა, ანუ სხვაობამ 6.8 თეთრი შეადგინა.

გადაწყვეტილების მოტივაცია გახლდათ შეღავათი ბაზრის ახალი წევრისთვის. თუმცა, ერთი წლის შემდეგ, როცა „ბილაინის“ საბაზრო წილი ახალბედობის ზღვარს გადასცილდა და „ბილაინი“ მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე კომპანია გახდა, სატარიფო პოლიტიკა დიდად არ შეცვლილა. ამჟამინდელი მდგომარეობით მაგთი და ჯეოსელი ბილაინს ქსელში ჩართვისთვის 11 თეთრს უხდიან, ბილაინი კი მათ 8 თეთრს უნაზღაურებს.

ვინაიდან შესყიდვების სამსახური ტენდერში მონაწილე კომპანიებს ვერ მოსთხოვდა ზარალზე მუშაობას, მათ სატენდერო პირობებში ბილაინთან კავშირისთვის დაადაფიქსირეს 11 თეთრი. შესაბამისად ხეირი ბილაინს ბუმერანგივით, მაგრამ უხეიროდ დაუბრუნდა. თუმცა, კომპანიას შეუძლია ნებისმიერ დროს მიმართოს მარეგულირებელს, ურთიერთჩართვის ტარიფი გაათანაბროს...

რაც შეეხება ჯეოსელის პრეტენზიებს: მყიდველი ყოველთვის მოწადინებულია, მიიღოს უკეთესი მინიმალურ ფასად და შემსყიდველმა კომისიამ ტენდერით სახელმწიფოს სერიოზული ეკონომია გაუწია. სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა ოჯახის წევრები მომსახურების ყოველთვიურ ერთლარიან გადასახადს თავად დაფარავენ და ქვეყნის ბიუჯეტს მათი რაოდენობა ტვირთად არ დააწვება. ამ მხრივაც, შემსყიდველებს ქვეყანა არ უზარალებიათ.

ახლა ვიკითხოთ: რა იხეირა ტენდერში გამარჯვებულმა მაგთიკომმა?

„ფინანსური თვალსაზრისით, ტენდერი მომგებიანი შესაძლოა, არ იყოს, თუმცა „მაგთიკომისთვის“ ტენდერში გამარჯვება პრესტიჟის საკითხია, – განაცხადეს კომპანიაში.

ფაქტია, რომ მაგთიკომი კავშირგაბმულობის ლიდერია და ერთადერთი კომპანიაა საქართველოში, რომელიც მომხმარებელს ერთდროულად სთავაზობს მობილურ და ფიქსირებულ სატელეფონო კავშირს, ინტერნეტსა და თანამგზავრულ ტელემაუწყებლობას.

ის, რომ „მაგთიკომმა“ მეორედ გამართული ელექტრონული ვაჭრობისას კვლავ გამარჯვებისთვის იბრძოლა, ცალსახად ამტკიცებს, რომ **პრესტიჟი ნამდვილად ღირებული რამეა.** ამ ვაჭრობაში მას კვლავ ჯეოსელი ეტოქებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯეოსელში, ტენდერის პირობებს წამგებიანად, კომერციულად არამიმზიდველად მოიხსენიებენ, ის ფაქტი, რომ ჯეოსელმა ელექტრონულ ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღო, მაინც საპირისპიროზე მეტყველებს: იგი გამარჯვებას ესწრაფვოდა და ყველა პირობაზე თანახმა იყო. ანუ მასაც უღირდა!

რჩება კითხვა: გაუძლებს თუ არა მაგთიკომის ქსელი ასეთ დატვირთვას?

„მაგთიკომს მრავალგზის დაუმტკიცებია, რომ მისი ქსელის ხარისხი საიმედო და შეუფერხებელი კავშირის გარანტიაა. 2012-2013 წლის უაღრესად დატვირთულ საახალწლო დღეებში გადატვირთვის არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა. 45 მილიონზე მეტი ზარი განხორციელდა და 17 მილიონზე მეტ ესმს გაიგზავნა. ახლო მომავალში კი უშუალოდ ქსელის განვითარებისა და გაფართოების მიზნით 100 000 (ასი ათასი) დოლარის ინვესტიციაა გათვალისწინებული“ – აცხადებენ კომპანიაში და თვლიან, რომ მაგთიკომის სამართლიანი გამარჯვება ტენდერის პირობების სრულად დაკმაყოფილებამ, დაბალმა ფასმა და მაღალმა ხარისხმა განაპირობა.

გია გაბრიჭიძე

◎ ფეისბუქიდან

წერტილოვანი ფრაზები

● როცა ლაპარაკობენ, რომ რესპუბლიკელები ბიძინას ვერაფერს ვერ დააკლებენ, ბიძინა ყველას მიხედავსო, ბერიას და ხრუშჩოვის ისტორია მახსენდება.

სულელმა ნიკიტამ ჭკვიანი ბერია დაამარცხა!!

ბატონო ბიძინა, ცოტა ფრთხილად!!!

● ქვეყანაში სადაც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტელევიზიის ყველაზე პოპულარულ გადაცემაში ნათია მეგრელიშვილი, თამარ ჩერგოლეიშვილი ჭკუასაკითხავ სტუმრებად ჰყავთ, ქვეყანაში სადაც თამარ ჩუგოშვილი პრემიერ-მინისტრის მრჩეველია, ქვეყანაში სადაც კოჟორიძეებს (ყველას გვარი არ მახსოვს, მაგრამ ისინი „ზოგადი კოჟორიძეები“ არიან), ხელისუფლების რეკომენდაციების მიცემის უფლება აქვთ.

ქვეყანაში სადაც ილიას უნივერსიტეტის რექტორი გიგი თევზაძეა, უჩა ნანუაშვილია, ქვეყანაში სადაც ზაზა ბურჭულაძე მწერალია. ქვეყანაში სადაც, ქვეყანაში სადაც...

დასკვნას მე არ დავწერ, თქვენთვის მომინდვია . . .

● საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა თამარ ჩუგოშვილმა პატრიარქის განცხადებას „არასამართლებრივი“ უწოდა!

ბატონო ბიძინა თქვენი მრჩეველი თამარ ჩუგოშვილი თავს უფლებას აძლევს პატრიარქის განცხადება გააკრიტიკოს. მდაა. . .

● მაგრად მაინტერესებს რომელიმე ნაციონალს, ან გამჭვირვალე არასამთავრობოელს ღამე გზააბნეული და გაჭირვებული ლგბტ-ელი რომ მიადგეს და ერთი ჭიქა წყალი სთხოვოს, თუ დაალევინებს?

თუ მარტო ევროპის დასანახად იცავენ იმ ბედუკულმართ არსებებს და სინამდვილეში, როგორც ჩერგო იტყოდა „ლატენტური ჰომოსექსუალები არიან“?

● ამბობენ, რომ „იდენტობას“ 7 მილიონი გადმოერიცხაო.

1. გაუნაწილებენ თუ არა ამ თანხას იმ პედერასტებს, რომლებიც ვერ მივიდნენ „თავიანთი უფლებების“ დასაცავად, მაგრამ აქტიურად იღწვიან ამ ფრონტზე?

2. მისცემენ თუ არა „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებს პრემიას?

3. მისცემენ თუ არა ამ თანხიდან რაიმე წილს იმ ხალხს, რომლებმაც ლგბტშნიკები გასტყიპეს, რითაც გადმოსარიცხი თანხის რაოდენობა გაიზარდა?

● თუ დააკვირდით რომ ახლა ფბ-ში მიშაზე და ნაცებზე აღარავინ არაფერს აღარ წერს. ისინი პედერასტებმა ჩაანაცვლეს.

შესაკრებთა გადანაცვლებით, ჯამი არ იცვლება.

● კოჟორიძემ ერთ-ერთ პოლიციელში სავაშ ბეი ამოიცნო.

● ისე ამ თოქ-შოუებში სექსზე ვიღაცეების ლაპარაკის მოსმენას, რამე კაი ეროტიკა გაუშვან არ ჯობია?

● ელისო კილაძეს სავაშ ბალგარის და ჩიჩეკის საუბრის ფარული ჩანაწერი ჰქონია და ამ დღეებში გამოაქვეყნებს.

● ევროვიზიაზე უკვე გასულები ვიყავით, „ზემდგომებს“ ხმა რო მიუვიდათ – ზემო ფონიჭალაში ავლაბრელი პედერასტი ცემესო და იმსაათში ბოლო ადგილზე გადაგვტყორცნეს.

ამოკრიბა
ზაზა კვიცარიძემ

◎ ინფორმაცია

რჩევები საბავშვო ბაღების ხელმძღვანელებს წითელას შესახებ

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი პაატა იმნაძე აცხადებს, რომ წითელას შემთხვევების მატებასთან დაკავშირებით ცენტრში საბავშვო ბაღების ხელმძღვანელები დაიბარა და გარკვეული რეკომენდაციები გასცა.

პაატა იმნაძე განმარტავს, რომ საბავშო ბაღების ხელმძღვანელებს ურჩიეს, აღსაზრდელების მშობელთათვის აცრების აუცილებლობა შეეხსენებინათ.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუკი 3 წლის ბავშვს წითელათი ინფიცირებულ პირთან კონტაქტი აქვს, შესაძლებელია 5 წლის ასაკისთვის დაგეგმილი აცრა მან წინასწარ ჩაიტაროს. ამასთან, თუკი ბავშვს ერთი წლის ასაკში ვაქცინაცია ჩაუტარდა და ინფიცირებულთან კონტაქტში არ იმყოფება, 5 წლისთვის დაგეგმილი ვაქცინაციის ჩატარება დროზე ადრე აუცილებელი არ არის.

– წითელათი ინფიცირებულთან კონტაქტირებიდან 3 დღის განმავლობაში, პაციენტს აცრა იცავს, ასწრებს ვაქცინა მუშაობას, დაგვიანებული ვაქცინაციისა და ინფიცირების შემთხვევაში კი ინფექცია უფრო მსუბუქად განვითარდება, რადგან ადამიანის ორგანიზმში წითელაზე იმუნიტეტის გამომუშავება უკვე დაწყებული იქნება და 5 წლამდე ვირუსს აცრის ვირუსი დახვდება, – განმარტა იმნაძემ.

მისივე თქმით, ბავშვების გარდა, უნდა აიცრან ასევე დაავადებულთან კონტაქტში მყოფი მშობლები და 35 წლამდე მოზრდილები.

იმნაძის ინფორმაციით, ვაქცინაცია უფასოა ყველა წითელასთან კონტაქტირებული პირისა და 7 წლამდე ბავშვებისათვის, რომლებსაც აცრა გამოტოვებული აქვთ.

ამასთან, პაატა იმნაძე საქართველოში წითელას ინფექციის ხელოვნურად გავრცელებას კატეგორიულად გამორიცხავს.

მისივე ინფორმაციით, წელს, წითელათი ინფიცირების 3000-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა. პაატა იმნაძე წითელას შემთხვევების მატებას 2008 წელს ჩავარდნილ მოზრდილთა აცრებს უკავშირებს.

თურქეთში ქართველ გოგონას პროსტიტუციას აიძულებდნენ

საძარცველოდან თურქეთის ქალაქ მუღლაში დასასვენებლად ჩასულმა ქართველმა გოგონამ, იძულებითი პროსტიტუციისგან თავის დასახსნელად პოლიციას მიმართა. ამის შესახებ ინფორმაციას თურქული მედია ავრცელებს.

როგორც თურქ სამართალდამცველებს ცნ.-მ განუცხადა, ის დასასვენებლად მუღლაში ჩავიდა, შემდეგ რამდენიმე ქალაქი მოიარა, ბოლოს კი მარმარისში გაემგზავრა, სადაც ერთ-ერთ ბარში ორი მამაკაცი გაიცნო, რომლებმაც მას პროსტიტუცია აიძულეს, უარის თქმის გამო კი სცემეს.

თურქეთის სამართალდამცველებმა ძებნა გამოაცხადეს იმ ორ თურქზე, ვისაც ცნ.-მ ჩარიშის პოლიციაში უჩივლა. მისი თქმით, ისინი მას პროსტიტუციას აიძულებდნენ.

ნაცემმა ქართველმა გოგონამ მარმარისში სახელმწიფო საავადმყოფოში კონტროლი გაიარა. ახალგაზრდა ქალს სხეულზე ძალადობის კვალი აღმოაჩნდა.

მოგვიანებით პოლიციის დეპარტამენტში თურქული ენის კარგად მცოდნე ქართველმა გოგონამ ჩვენება მისცა. ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მის ვიზას ვადა ჰქონდა გასული.

პოლიციამ ეჭვმიტანილების დასაკავებლად მუშაობა დაიწყო, ცნ. კი დეპორტირებული იქნება.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კანონში ცვლილებათა შესახებ

რუსეთი დაინტერესებულია კანონის გაუქმებით და არა კოსმეტიკური ცვლილებებით

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის შესატან ცვლილებებზე, „ინტერპრესნიუსი“ პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელს რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძეს ესაუბრა.

— ბატონო ზურაბ, ევროკავშირის ინიციატივით ბელგრადსა და პრიშტინას შორის მიღწეულ შეთანხმებაზე საქართველოს პრემიერი-მინისტრის განცხადებას დიდი ხმაური მოჰყვა. მიღწეული შეთანხმებით, სერბეთს კოსოვოს დამოუკიდებლობა ნამდვილად არ ულიარებია, ამიტომ გაუგებარია, რატომ გაჩნდა უმცირესობის ბრალდებები ახალი ხელისუფლების მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთი აღიარების ალბათობის დაშვება. თუ სწორად გავიგე, ივანიშვილმა მხოლოდ ის მოიწონა, რომ დაპირისპირებულ მხარეებს შორის დიალოგი დაიწყო...

— პრემიერი მიესალმა სერბეთსა და კოსოვოს შორის ურთიერთობების დარეგულირების მცდელობას. მან ასევე თქვა, რომ კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება მხოლოდ მშვიდობიანად და იარაღის გარეშე უნდა ხდებოდეს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზაც სწორედ მშვიდობიანი უნდა იყო. პრემიერის განცხადებაში არანაირი მინიშნება არ ყოფილა იმაზე, რომ საქართველომ უნდა აღიაროს აფხაზეთი ან ცხინვალის რეგიონი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. პირიქით, მან ხაზი გაუსვა ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის აუცილებლობას.

კონფლიქტების დარეგულირების კუთხით, ჩემი აზრით, „კოსოვოს მოდელი“, შესაძლოა, დღესაც აქტუალური იყოს აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში. მხედველობაში მაქვს ამ მოდელის რამდენიმე ასპექტი: 1. კოსოვოში განხორციელდა საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაცია ნატოს ეგიდით, რომელშიც მრავალმა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა; 2. კოსოვოში დაბრუნდა ლტოლვილთა უდიდესი ნაწილი; 3. კოსოვო თითქმის 10 წლის განმავლობაში იმართებოდა საერთაშორისო ადმინისტრაციის მიერ გაერო-ს მანდატით; 4. წლების განმავლობაში საერთაშორისო ორგანოზაციები აწარმოებდნენ ამ რეგიონში სხვადასხვა სახის მონიტორინგს; 5. გარდა ამისა, ომის შედეგების დასაძლევად და ადამიანების ერთმანეთთან დასაკავშირებლად უამრავი საერთაშორისო პროექტი განხორციელდა. ამის შემდეგ ჩატარდა რეფერენდუმი, რამაც ცნობილი შედეგები გამოიღო. არავითარი ამის მსგავსი არც აფხაზეთსა და არც ცხინვალის რეგიონში არ მომხდარა. სწორედ ამიტომაც მოგახსენეთ, რომ თუკი ჩვენს კონფლიქტურ რეგიონებში გადაიდგმებოდა ანალოგიური ნაბიჯები, ამ მხრივ „კოსოვოს მოდელი“ ალბათ სრულიად მისაღები იქნებოდა. რატომაც არა, ამის შემდეგ ჩატარდეს რეფერენდუმი და უკვე ხალხმა გადაწყვიტოს, როგორ სახელმწიფოში სურს ცხოვრება.

— შესაძლოა, კრიტიკის საფუძველი ის იყო, რომ ბელგრადს პრიშტინას დამოუკიდებლობა არ ულიარებია, მაგრამ სერბული მხარე დათანხმდა კოსოვოს ტერიტორიაზე სერბების კომპაქტურად მცხოვრებ რეგიონებში ადგილობრივების პოზიციების გაძლიერებას...

— მე მხოლოდ ის პარამეტრები მოგახსენეთ, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია. დანარჩენი სხვა კრიტერიუმების მიხედვით კოსოვოსთან პარალელების გავლება არამართებულია. თუკი სურვილი გაქვს, ნებისმიერი განცხადება შეგიძლია შეატრიალო და კრიტიკაც შესაბამისი მიაყოლო. ნებისმიერი, თუნდაც ის, რაზეც ახლა გესაუბრეთ.

— პარლამენტში ჭიანურდება „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში ცვლილებების დამტკიცება. თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანია უმცირესობის წარმომადგენელთა ბრალდებები, თითქოს უმრავლესობა რუსეთის დაკვეთას ასრულებს?

— უმცირესობის პრეტენზიები და კრიტიკის პათოსი, ჩემი აზრით, სრულიად უსაფუძვლოა. საუბარია კანონში მხოლოდ ტექნიკურ ცვლილებებზე და ასეთ დროს რუსეთის დაკვეთის შესრულების ბრალდებები სულ ცოტა უხერხულია. რა დაკვეთაზეა საუბარი, როდესაც კანონის არსი არანაირად არ იცვლება. რუსეთში აინტერესებთ არა ტექნიკური ცვლილება, არამედ კანონის გაუქმება. მათთვის მთავარია ტერმინი „ოკუპაცია“ და არა ის, თუ რამდენ ლარად დააჯარიმებენ საზღვრის დამრღვევს. სხვათა შორის, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ კანონის მიხედვით 300-დე პირის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, აქედან მხოლოდ 15%-დე იყო რუსეთის მოქალაქე.

გასულ წლებში იყო შემთხვევები, როდესაც თბილისში ჩამოდიოდნენ აფხაზეთში ნამყოფი უცხოეთის მოქალაქეები, მაგრამ მათ საზღვარზე სატელეფონო გადარეკვის შემდეგ უპრობლემოდ ატარებდნენ. იყო შემთხვევები, როცა სტუმარს ურჩევდნენ პასპორტის შეცვლას. ვის ვატყუებთ ან რატომ „ვატყუებთ კანონს“? გავაკეთოთ გამონაკლისი მათთვის, ვისი შემოსვლაც ჩვენს ქვეყანაში ჩვენსავე ინტერესებშია.

მართალია, ეს გარკვეულად შექმნის განსხვავებულ რეჟიმს კონფლიქტური რეგიონების საზღვრებთან მიმართებაში, მაგრამ ასეთი რამ სრულიად არასტანდარტული ვითარებიდან გამომდინარე, ლოგიკურია. რაც შეეხება რუსეთის „დაკვეთას“ და „მოთხოვნას“, ხაზგასმით მინდა განვაცხადო, რომ ამ თემაზე რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან არანაირი საუბარი არ გვქონია.

— ოპოზიციის პრეტენზიები იმის გამოცაა გასაკვირი, რომ ამ კანონში ცვლილებების განხორციელებას საერთაშორისო ორგანიზაციები დაჟინებით მოგვიწოდებენ და ამის შესახებ მათ აქვთ ამომწურავი ინფორმაცია...

— მე თითქმის ყოველდღიური შეხვედრები მაქვს ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან, ამ თემაზეც გვქონდა საუბარი და მათგან რაიმე კატეგორიული ან თუნდაც კრიტიკული შენიშვნა არ მომისმენია. პირიქით, ყველა ამას გაგებით ეკიდება.

— პრესკონფერენციაზე პრემიერ-მინისტრმა არ გამორიცხა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სოჭის ოლიმპიადაზე მოწვევას მიიღებს და გამგზავრებისათვის დრო ექნა, სოჭში გაემგზავრება. მოგეხსენებათ, ამ თემაზეც ოპოზიციამ დააფიქსირა თავის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება. როგორი იქნება მათ რეაქციაზე თქვენი პასუხი?

— პრაქტიკულ რეჟიმში ეს თემა არ განიხილება, თუმცა პრემიერმა ამის შესაძლებლობა არ გამორიცხა. მას ისიც არ გამოურიცხავს, რომ მომავალში რუსეთის ხელმძღვანელობას შეხვდება. ვფიქრობ, ადრე თუ გვიან ასეთი შეხვედრა მართლაც შედგება. პრემიერის აზრით, უნდა დავაკვირდეთ პროცესებს. სოჭის ოლიმპიადამდე ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი დროა დარჩენილი. ვნახოთ, რა ტენდენციები გამოიკვეთება და რა შედეგებს მოიტანს ქართულ-რუსულ ურთიერთობებში შექმნილი ახალი ელემენტები.

— რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ამგვარი შეხვედრა?

— შეხვედრა უთუოდ მნიშვნელოვანი იქნება, თუმცა, გააჩნია რა პოლიტიკურ კონტექსტში ჩატარდება და, რამდენად სერიოზულად იქნება მომზადებული იმისათვის, რათა შესაბამისი შედეგები გამოიღოს.

კობა გენდელიანი

◎ სამეგრელოს მხარე

„წინა ხელისუფლების მიერ დათრგუნულ მოსახლეობას შიშის განცდა ჯერაც არ განელებია“

სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურას ყოველდღიურად ათობით სააკაშვილის რეჟიმისგან დათრგუნული და უკანონოდ დასჯილი ადამიანი აკითხავს.ისინი მოითხოვენ სამართლიანობის დაუყოვნებლივ აღდგენას, თუმცა დამნაშავეთა დასჯა და სამართლიანობის დამკვიდრება არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ამას დაზარალებულები ფიქრობენ. ამ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების გაზიარება ვთხოვეთ სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორის მოადგილეს ქალბატონ ნონა თოლორაიას.

— უთვალავი განცხადებაა შემოსული პროკურატურაში. ბევრი მათგანი საფუძვლიანია, ბევრიც უსაფუძვლო და უპერსპექტივოა,რადგან ეხება რამდენიმე წლის წინ მომხდარ ფაქტებს, მათ შორის 1992-93წ.წ. ძირითადად საჩივრები არის ქონების წართმევაზე, იძულებით ჩუქებაზე. აქ ახალაიას დროს იმდენი ბარიერი იყო, მოსახლეობა ვერ შემოდიოდა პროკურატურაში. ახლა კი განახათ მოქალაქეები როგორი კმაყოფილები ტოვებენ პროკურატურის შენობას, — ამბობს პროკურორი.

— მოსახლეობა ფიქრობს , რომ რატომღაც ჭიანურდება სამართლიანობის აღდგენის პროცესი. რა სირთულეებთანაა დაკავშირებული ამ პროცესის დაჩქარება?

— ძალიან დიდი და რთული საქმეებია დაგროვილი. მოსახლეობა რატომღაც ფიქრობს, რომ თუ მან განცხადება, საჩივარი შემოიტანა ამით მთავრდება ყველაფერი, არადა, ეს ასე არ არის. ამ განცხადებებზე, საჩივრებზე უნდა დაიდოს მტკიცებულებები პროკურატურისგან. ეს მტკიცებულებები უნდა იყოს ნაღდი, ერთმანეთთან შეჯერებული. მტკიცებულებების მოპოვება კი დღეს არის ძალიან რთული რადგან წინა ხელისუფლების მიერ დათრგუნულ მოსახლეობას შიშის განცდა ჯერაც არ განელებია. მტკიცებულებები კი ეს არის მოწმეთა ჩვენებები. შიშის გამო ისინი უარს ამბობენ პროკურატურასთან თანამშრომლობაზე. მე მესმის საზოგადოების გულისწყრომის — უნდათ მალე აღდგეს სამართლიანობა.ეს პროცესი ახლა გადადის ახალ ეტაპზე. როგორც აღვნიშნე, მტკიცებულებების მოპოვება არის ძალიან ძნელი, რომელსაც სჭირდება დრო და შემიძლია ვთქვა რომ ეს დრო იწურება. მტკიცებულებები დაიდება და დაიწყება სამართლიანობის აღდგენის ახალი ეტაპი. ეს ეტაპი საზოგადოებისთვის მალე იქნება ცნობილი.

— ქალბატონო ნონა, თუ ფიგურირებენ დაზარალებულთა საჩივრებში ახალაიასა და გოროზიას გვარები?

— რა თქმა უნდა. როლანდ ახალაიაზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება. სისხლის სამართლებრივი დევნა კი დაწყებული არ არის და არც ბრალია წაყენებული, რადგან ის არის პარლამენტის წევრი და იცავს იმუნიტეტი. რაც შეეხება ზაზა გოროზიას, ის არის მოხსენიებური იმ საჩივრებში სადაც საქმე ეხება მიწების უკანონო წართმევის ფაქტებს. აქ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება.ეს მომჩივანი ადამიანები უფრო მეტად ორიენტირებულნი არიან არა იმდენად იმ პიროვნებების დასჯაზე, ვინც მათ ქონება წაართვა, არამედ მათ სურთ წართმეული ქონების დაბრუნება ან კომპენსაციის მიღება.

— როგორ მიმდინარეობს საპროცესო გარიგებები, რა სიახლეებია ამ მხრივ?

— წინა ხელისუფლების დროს როგორ მიმდინარეობდა საპროცესო გარიგებები ყველამ იცის.არანაირად არ იყო გათვალისწინებული დამნაშავის მატერიალური მდგომარეობა და ისე ახდევინებდნენ მათ 15-20 ათას ლარს... საპროცესო გარიგებები აუცილებელია მართლმსაჯულებაში, მაგრამ ჩვენი მიზანი არ არის დამნაშავის მძიმე ვითარებაში ჩაყენება. ჩვენ ამ ქალაქში, ამ რეგიონში ვცხოვრობთ და ვიცით ვის რისი საშუალება გააჩნია და აქედან გამომდინარე, ვუწესებთ მათ გადასახდელ თანხას, ამიტომაც ამჟამად საპროცესო გარიგება ძირითადად არ სცილდება 2000-3000 ლარს. მინდა აღვნიშნო, რომ ძალაში შევიდა ახალი კანონი, რაც ითვალისწინებს „შთანქმის“ პრინციპს ანუ მოისპო დანაშაულთა შეკრებითობის პრინციპი. თანაც ახალ კანონს გააჩნია უკუძალა, რასაც მოყვება ძველი განაჩენების გადასინჯვა, რის შედეგადაც კიდევ მრავალი ადამიანი დატოვებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებს.

— როგორ მიმდინარეობს საოლქო პროკურატურაში საკადრო ცვლილებები, ადგილი ხომ არა აქვს „ინტერესთა კონფლიქტს“?

„რამდენიმე პირმა დატოვა პროკურატურა, შევინარჩუნეთ ის ძველი კადრები, ვის მიმართაც ნაკლები პრეტენზია ჰქონდა მოსახლეობას. ყველას ერთდროულად ვერ გავუშვებდით, რადგან უამრავი საქმეა გამოსაძიებელი. არიან ახლებიც და კადრების განახლების პროცესი მუდმივად წარიმართება. რაც შეეხება „ინტერესთა კონფლიქტს“, ასეთ რამეს ჯერჯერობით ჩვენთან ადგილი არ ჰქონია, არ არის სასურველი, რომ საქმე გამოიძიოს იმან, ვისაც უჩივი, ან იმის ნათესავმა, თუ ახლობელმა — ვისაც უჩივი, თუმცა, ამისგან არავინ არ არის დაზღვეული და თუ ასეთი რამ მოხდება, უმალვე აღვკვეთავთ.

— თქვენ ადრე მუშაობდით მოსამართლედ, შემდეგ ხელმძღვანელობდით საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ზუგდიდის ორგანიზაციას. ხომ არ აპირებთ ისევ სასამართლოში, ან პოლიტიკაში დაბრუნებას?

— არა. არ ვაპირებ არსად წასვლას პროკურატურიდან, რადგან აქ ძალიან ბევრი საქმე მაქვს გასაკეთებელი და მინდა ბოლომდე მივიყვანო სამართლიანობის აღდგენის პროცესი.“

ესაუბრა
ლადო ქირია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თქვენ გაქვთ უკან მოხედვის უფლება

თვალსაჩინო მეცნიერი, მეცნიერების ორგანიზატორი

აკადემიკოსი შოთა ჭალაგანიძე – 80

საძართველოს მრავალ ღირსეულ და ღვაწლმოსილ შვილთა შორის ბატონი შოთა ჭალაგანიძე ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნებაა. მისი სახელი ჩვენს საზოგადოებაში ასოცირდება ოჯახის, ქვეყნის, მეგობრების, საქმის სიყვარულთან და უანგარო ერთგულებასთან, მაღალ ზნეობასთან. სწორედ ასეთ პიროვნებებზეა მისადაგებული დიდი ვაჟას სიტყვები „ბილწს არ შავეკვრი ზავითა“.

ამ დღეებში ბატონ შოთა ჭალაგანიძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. ეს ის სიმაღლეა, საიდანაც ნათლად ჩანს მის მიერ განვლილი გზის ნიშანსვეტები, სიძნელე-დაბრკოლებები, მათი დაძლევისათვის გაწეული შეუპოვრობა და ბრძოლა, საქმიანობა და მიღწევები. ეს არის დარბაისლური და ღირსეული ასაკი, რომელშიც შოთა ჭალაგანიძემ ახალგაზრდული ენერგიით შეაბიჯა.

ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში დგება პერიოდი, როდესაც მან, უნდა თუ არა, უკან უნდა მიიხედოს, თავის განვლილ ცხოვრებას გადახედოს და პასუხი გასცეს კითხვას: როგორ იცხოვრა?

მას უკან მოხედვის უფლება აქვს!

შ. ჭალაგანიძე 1933 წლის 21 მაისს თბილისში ინტელიგენტების ოჯახში დაიბადა. მამა – ივანე ჭალაგანიძე ცნობილი ექიმი იყო, ხოლო დედა – თინა ნაფეტვარიძე პედაგოგი. მშობლებმა შ. ჭალაგანიძის პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშეს. 1951 წელს შ. ჭალაგანიძე წარმატებით ამთავრებს თბილისის პირველ საშუალო სკოლას, ხოლო 1956 წელს, ასევე, წარმატებულად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს. იგი სპეციალობით ინჟინერ-მექანიკოსია. ამასთან, მიღებული აქვს უმაღლესი პოლიტიკური განათლება.

ადამიანი თავისი ცხოვრებით თავად ქმნის საკუთარ ბიოგრაფიას, მაგრამ ყოფით და სულიერ ფასეულობათა თუნდაც მოკრძალებული წარმოჩენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ცხოვრების ზოგიერთი ასპექტის გაცნობა-გახსენებას.

დიდად შინაარსიანი და ნაყოფიერია ბატონი შოთა ჭალაგანიძის მიერ განვლილი ცხოვრების გზა. მას წილად ხვდა საქართველოში ისტორიულად მნიშვნელოვანი მოვლენების მომსწრე და მონაწილე ყოფილიყო. „ადამიანი ხომ თავის დროს ჰგავს, თავისი ეპოქის პროდუქტია“. სამოციანელთა თაობა ომსა და მშვიდობაში გაზრდილი თაობაა, რომლის განვლილი გზა დამახასიათებელია მისი ყველა, მეტ-ნაკლებად, გამორჩეული პიროვნებისათვის.

საინტერესო ცხოვრების გზა განვლო ამ თაობამ – რომანტიკული გატაცებებით აღსავსე და, არცთუ იშვიათად, იმედგაცრუებითა და დიდი გულისტკივილით დაღდასმული. მთავარი მაინც ის არის, რომ ისინი თავიანთ საქმეს ხალხის სამსახურისათვის ალალი გულით აკეთებდნენ.

ცოცხალი ისტორიაა...

სტუდენტობის დროს შ. ჭალაგანიძე გამორჩეული იყო სწავლითა და საზოგადოებრივი საქმიანობით: იყო ინსტიტუტის ახალგაზრდობის თავკაცი და ლიდერი. ასე გააგრძელა მან თავისი ცხოვრება და საქმიანობა შემდგომშიც, უკვე როგორც სპეციალისტმა, მეცნიერმა, ხელმძღვანელმა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1956 წლიდან, იგი მუშაობს სპეციალობის მიხედვით, ჯერ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც დატოვებული იქნა კათედრაზე, ხოლო შემდეგ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. მან რიგითი ტექნიკოსიდან საინსტიტუტო მოღვაწეობის ყველა საფეხური განვლო ლაბორატორიის ხელმძღვანელამდე. 1962 წელს ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით გადაყვანილი იქნა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში. იყო სოფლის მეურნეობის განყოფილების ინსტრუქტორი, მეცნიერებისა და ტექნიკის სექტორის გამგე, განყოფილების გამგის მოადგილე. 1973 წელს არჩეულ იქნა საქ. კპ ბორჯომის რაიკომის პირველ მდივნად. რაიონის ხელმძღვანელად მუშაობის დროს მან დიდი ამაგი დასდო ბორჯომისა და ბაკურიანის საკურორტო და სპორტული განვითარების საქმეს, რაიონის სახალხო-სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ამაღლებას. 1976 წელს მაღალ პარტიულ თანამდებობებზე დიდი ავტორიტეტის მქონე შ. ჭალაგანიძე საქართველოს სატყეო მეურნეობის მინისტრად დანიშნეს. მისი დიდი ძალისხმევით, წლების განმავლობაში ჯერ სატყეო მეურნეობის მინისტრად, ხოლო შემდეგ გაერთიანებული ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობისას, სადაც სრულად გამოვლინდა მისი ჩინებული ორგანიზატორული ნიჭი, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა საქართველოში ბუნების დაცვის, ტყეების გაშენების, მოვლა-პატრონობისა და გონივრული გამოყენებისათვის. ბატონი შოთას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კონცერნის თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში დამუშავდა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის პრიორიტეტული მიმართულებები, სათანადო პროგრამები და კონცეფციები, რომლებიც შეესაბამებოდა დროის მოთხოვნებს და სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამეცნიერო-საკონსტრუქტორო სამუშაოები, რომლებიც მცირეგაბარიტიანი სპეციალიზებული ტექნიკის შესაქმნელად ტარდებოდა ინსტიტუტში „საქაგრომანქანა“ მისი დირექტორობისას, რაც ასე აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის. 1997 წელს იგი დაინიშნა ახლადშექმნილი საქართველოს მრეწველობის სამინისტროს სტრატეგიული განვითარებისა და სამეცნიერო-ტექნიკური უზრუნველყოფის, დარგისათვის წამყვანი დეპარტამენტის უფროსად. ბატონი შოთას სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობის ახალი ეტაპია მისი მოღვაწეობა მეტად რთულ და მნიშვნელოვან სფეროში – საქართველოს ეროვნულ საინოვაციო სამსახურში, რომელიც ამ საქმიანობის განვითარების, სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და მისი განხორციელების კოორდინაციის მიზნით შეიქმნა და რომლის გენერალურ დირექტორადაც აქტიურად საქმიანობდა იგი.

2004 წელს შოთა ჭალაგანიძე არჩეული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჯერ ვიცე-პრეზიდენტად, ხოლო 2007 წლიდან – პრეზიდენტად, სადაც მის მიერ და მისი ხელმძღვანელობით აგრარიკოს-მეცნიერთა მიერ მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა და საკითხი იქნა დამუშავებული და გადაწყვეტილი, რომლებიც დღეს წარმატებით გამოიყენება სოფლის მეურნეობაში და მისი საქმიანობაც ცნობილია და წარმატებულადაა შეფასებული, არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ხანგრძლივი დროის განმავლობაში უმაღლეს პარტიულ- სამთავრობო, სამეურნეო-სამეცნიერო ხელმძღვანელ თანამდებობებზე მოღვაწეობისას, სადაც ძალზე დიდი იყო სახელის შელახვის ცდუნება, მასზე ოდნავ უკეთური ან უპატივცემულო სიტყვაც არასდროს თქმულა. ეს მით უმეტეს, რომ, სამწუხაროდ, ქვეყნად მაინც მრავლად არიან იანუსივით მრავალსახოვანი ბოროტი ადამიანები, როგორც ძველი ბერძენი ფილოსოფოსი ანაქარსისი ამბობდა, რომლებიც ნახშირს ჰგავს: ან დაგწვავს, ან გაგსვრის, გაგაშავებს.

ახლა, საკუთრივ შ. ჭალაგანიძის სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

ფართო და მრავალფეროვანია მის მიერ შესწავლილი სამეცნიერო-კვლევითი პრობლემების თემატიკა, მიმართულებები და საკითხები. პირველი სამეცნიერო ნაშრომი მან სტუდენტობის დროს, სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომთა კრებულში გამოაქვეყნა. დღეს კი მრავალი სამეცნიერო შრომის, წიგნებისა და გამოგონებების ავტორია. მას გამოქვეყნებული აქვს 250-მდე ნაშრომი, რომლებიც მიძღვნილია სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, სოფლისა და სატყეო მეურნეობის მექანიზაციის, ეკოლოგიის, მრეწველობისა და საინოვაციო საქმიანობის აქტუალური პრობლემებისადმი. მათი მოკლე დახასიათებაც კი, საგაზეთო სტატიის შეზღუდული მოცულობის გამო, მეტად რთულია. გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ მისი ნაშრომები, რომლებიც გამოქვეყნებული იქნა როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის სხვადასხვა სპეციალურ ჟურნალებსა და კრებულებში, გამოირჩევა პროფესიონალიზმით და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობით.

ასე, მაგალითად, სულ ახლახან მოეწყო შ. ჭალაგანიძის ბოლოდროინდელი (2011 წ.) მონოგრაფიის (400 გვ.) „ტექნიკისა და არატრადიციული ტექნოლოგიების გამოყენების თავისებურებანი სამთო სასოფლო და სატყეო მეურნეობის პირობებში“ (ქართულად, რუსულად და ინგლისურად) პრეზენტაცია საერთაშორისო დონეზე (მთიან ისიკ-კულში, ყირგიზეთი). განხილვაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები და სპეციალისტები. მონოგრაფიამ მაღალი შეფასება დაიმსახურა, რაც მათ თავიანთ რეკომენდაციებში დოკუმენტურად ოფიციალურად დაადასტურეს. აქვე აღინიშნა, რომ ნაშრომი აღნიშნული ამ პრობლემის ფუნდამენტური განხილვისა და გამოცემის პირველი ცდაა.

ასევე, ცალკე უნდა აღინიშნოს შ. ჭალაგანიძის წიგნის „საინოვაციო საქმიანობის პრობლემები საქართველოში“ შესახებ. იმ ხანად სამეცნიერო ლიტერატურა ამ თემაზე არც არსებობდა.

თავის ცოდნასა და გამოცდილებას შ. ჭალაგანიძე დიდი პასუხისმგებლობით გადასცემდა ახალგაზრდა თაობას. როგორც პროფესორი, იგი პედაგოგიურ-აღმზრდელობით საქმიანობას საქართველოს ტექნიკურსა და აგრარულ უნივერსიტეტებში ეწეოდა. წლების განმავლობაში იყო სახელმწიფო-საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე და სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს წევრი.

შ. ჭალაგანიძე აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში. იყო საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს სათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი, საქართველო-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საინჟინრო, სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარეს მოადგილე, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. არის ჟურნალის „საქართველოს საინჟინრო სიახლეებისა“ და რამდენიმე სხვა ქართული და უცხოური სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ მთავარი რედაქტორი და სხვ.

შოთა ჭალაგანიძეს კარგად იცნობენ საქართველოს საზღვრებს გარეთაც. იგი აქტიურად მონაწილეობდა და მონაწილეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გამართული საერთაშორისო კონფერენციების, სემინარებისა და სიმპოზიუმების მუშაობასა და საქმიან შეხვედრებში. მოხსენებით გამოვიდა მადრიდში, ბანკოკში, ალეპოში, ასტანაში, ტაშკენტში, აშხაბადში, ისიკ-კულში და სხვ. მრავალ ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს, მეცნიერსა და კულტურის გამოჩენილ პიროვნებას შეხვედრია იგი, ჰქონდა და აქვს მათთან ურთიერთობა და თანამშრომლობა.

შ. ჭალაგანიძე გამორჩეული პიროვნული ხიბლის ადამიანია, მუდამ გაწონასწორებული და ჭირთამთმენი, ორგანიზებული და აკურატული, მრავალმხრივ განვითარებული და განსწავლული, ჭეშმარიტი ინტელიგენტი. მის ფიზიკურსა და სულიერ აღნაგობას ერწყმის არაჩვეულებრივი შინაგანი სამყარო, შესანიშნავად იცნობს და უყვარს ქართული და უცხოური პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ისტორია, არის წიგნების ცნობილი ქომაგი და აქვს შესაშური პირადი ბიბლიოთეკა და ფონოთეკა, რასაც მთელი ცხოვრების მანძილზე აგროვებდა. ტყუილად კი არ უთქვამთ ფილოსოფოსებს: ფორმა შინაარსის გამომხატველიაო.

შოთა ჭალაგანიძე შესანიშნავი მეოჯახე, მეუღლე, მამა და ბაბუაა, რაშიც მას ბრწყინვალედ უბამს მხარს მეუღლე – ქალბატონი ელენე, ექიმი კარდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, შვილები ნინო – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და ეკატერინე – „ბანკი რესპუბლიკას“ მარკეტინგის მენეჯერი, რომლებიც დაოჯახებულნი არიან. ორ უფროს შვილიშვილთან ერთად, სულ ახლახან შეემატა სამი ტყუპი, უნიკალური შემთხვევაა, რომელთა ნათლიაც მისი უწმინდესობა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გახლავთ. ღმერთმა ბედნიერები გაუზარდოთ პატარები.

ბატონმა შოთამ ოთხმოცს გადააბიჯა. მას არასოდეს გასჩენია საიუბილეო თარიღების საჯაროდ აღნიშვნის სურვილი და არც ვინმე შეუწუხებია ამისთვის. ნათქვამია, ადამიანი თავისი წარსულის ჯამიაო და მისი ცხოვრების ჯამი მეტად წონადი და სასახელოა. იგი არის საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. არჩეულია საერთაშორისო და საქართველოს საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსად, ეკოლოგიურ მეცნიერებათა და ეროვნული აკადემიების ნამდვილ წევრად, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. არის დარგობრივი საერთაშორისო საზოგადოებების წევრი, სამეცნიერო-საინჟინრო საზოგადოებათა კავშირის გამგეობის წევრი. მინიჭებული აქვს „წლის ინჟინრის“ საპატიო წოდება. შ. ჭალაგანიძე დაჯილდოებულია მთავრობის მრავალი ჯილდოთი, მათ შორის ოთხი ორდენით. არის ღირსებისა და მეგობრობის ორდენების კავალერი, არაერთგზის იყო არჩეული საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ერთი სიტყვით, სასახელოდ, კაცური ღირსებითა და სიკეთის კეთებით განვლო მან თავისი ცხოვრების ეს დრო – ოთხმოცი წელი. ადამიანი ცვალებადი არსებაა და ამის გამო ვერასოდეს ჩაეტევა მხოლოდ წარსულში. მალე ოთხმოცდაათი და კიდევ უფრო მეტი მიგველოცოს. მის მიერ განვლილი გზა ხანგრძლივ სიცოცხლეს იმსახურებს, რომელსაც იგი კვლავ მშობლიური ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ დახარჯავს.

მრავალჟამიერ, ბატონო შოთა!

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს საინჟინრო აკადემია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს შოთა ჭალაგანიძეს აკადემიის საქმიანობის ურთულეს პერიოდში პრეზიდენტად ხანგრძლივი, ნაყოფიერი და ღირსეული მოღვაწეობისათვის აკადემიის საერთო კრებამ ერთხმად გამოუცხადა მადლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ხანგრძლივი დროის განმავლობაში უმაღლეს პარტიულ- სამთავრობო, სამეურნეო-სამეცნიერო ხელმძღვანელ თანამდებობებზე მოღვაწეობისას, სადაც ძალზე დიდი იყო სახელის შელახვის ცდუნება, მასზე ოდნავ უკეთური ან უპატივცემულო სიტყვაც არასდროს თქმულა. ეს მით უმეტეს, რომ, სამწუხაროდ, ქვეყნად მაინც მრავლად არიან იანუსივით მრავალსახოვანი ბოროტი ადამიანები, როგორც ძველი ბერძენი ფილოსოფოსი ანაქარსისი ამბობდა, რომლებიც ნახშირს ჰგავს: ან დაგწვავს, ან გაგსვრის, გაგაშავებს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

მიხეილ სააკაშვილის მოწინააღმდეგეებმა ბრალმდებელთა ყრილობა გამართეს

მოითხოვეს პრეზიდენტისა და მისი პარტიის გასამართლება

საქართველოს ახალმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ „სამართლიანობის ზეიმისთვის“ მოითხოვა სასამართლოს გადაეცეს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. ყოფილ პოლიტპატიმრებსა და სამართალდამცველებს, რომლებიც მოძრაობის შექმნის ინიციატორებად გამოვიდნენ, განზრახული აქვთ, „უბიძგონ“ ხელისუფლებას და მიიღოს მკაცრი გადაწყვეტილებები — თითქმის „ნიურნბერგის პროცესამდე“ ყოფილი მმართველი პარტიის ლიდერებზე. ექსპერტების აზრით, პრემიერ ბიძინა ივანიშვილის გუნდი ამზადებს მასშტაბურ სასამართლო პროცესებს, ხოლო ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის შექმნა მას სჭირდება დასავლეთის თვალში მომავალი რეპრესიების „ლეგიტიმაციისთვის“.

ახალი მოძრაობის „სამართლიანობის ზეიმისთვის“ დამფუძნებელ ყრილობაზე თბილისის სპორტის სასახლეში შეიკრიბა მიხეილ სააკაშვილის დაახლოებით 10 ათასი მოწინააღმდეგე. მათ მოჰქონდათ პლაკატები მთავარი ლოზუნგით, რაც ღონისძიების არსს გამოხატავდა, — „რეჟიმი სასამართლოში“. სამართლიანობამ უნდა იზეიმოს!“. „აქ შეიკრიბა ხალხი, რომელიც სააკაშვილმა ციხეში ჩაყარა, უწოდებდა მათ კრემლის აგენტებს, ართმევდა ბიზნესს, აგრეთვე მათი ნათესავები, ვისაც რეჟიმი, უბრალოდ, ქუჩებში ხოცავდა“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ყრილობის მთავარმა ინიციატორმა, არაკომერციული საზოგადოება „ყოფილი პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელმა, საბჭოთა ეპოქის დისიდენტმა ნანა კაკაბაძემ.

მისი სიტყვებით, „პარლამენტმა ჯერ უნდა მოგვცეს სააკაშვილის და მისი ბანდის 9-წლიანი მმართველობის შეფასება“, შემდეგ „დღის წესრიგში დადგება სასამართლოს გამართვის ან დამნაშავე ხროვის საკანონმდებლო აკრძალვის საკითხი“. „ჩვენ პროკურატურას უკვე გადავეცით მასალები დანაშაულებათა შესახებ, რომლებიც ჩაიდინა რეჟიმმა, თუმცა, პროკურატურა მეტად ნელა მოქმედებს“, — დაიჩივლა ქალბატონმა კაკაბაძემ. ჯერჯერობით პრეზიდენტ სააკაშვილის უახლოესი თანამებრძოლებიდან პასუხისმგებლობაში მიცემულია მხოლოდ თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია, რომელსაც ასამართლებენ სამხედრო მოსამსახურეებისადმი „არაადამიანურ მოპყრობასა და ცემაში“.

ყრილობაზე გამოსულები პარალელს ავლებდნენ ნიურნბერგის ტრიბუნალსა და სააკაშვილის პარტიაზე მომავალ სასამართლოს შორის. ახალი მოძრაობის მონაწილეებმა მოითხოვეს შეიქმნას სპეციალური საპარლამენტო კომისია „დამნაშავე რეჟიმის გამოძიებისთვის“. „ქართველი ხალხი ელოდება სამართლიან გადაწყვეტილებას, და არც ერთმა სახელმწიფომ არ უნდა დაფაროს სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმი“, — ნათქვამია ყრილობის შემაჯამებელ რეზოლუციაში.

რეზოლუცია მოითხოვს, გამოკვლეულ იქნეს „პოლიტიკური ტერორის პრაქტიკა, რასაც ემყარებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე რეჟიმი“. სამართალდამცველები გამოთქვამენ იმედს, რომ მთავრობა შეძლებს ხალხის ნების შესრულებას, „მიუხედავად დასავლეთის გარკვეული წრეების მცდელობისა თავს მოგვახვიონ ეგრეთ წოდებული კოჰაბიტაცია დამნაშავე სააკაშვილთან“. დოკუმენტს ხელი ასობით „რეჟიმის პოლიტპატიმარმა მოაწერა, რომლებიც ციხეებიდან გაათავისუფლეს ფართომასშტაბიანი ამნისტის შედეგად ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის კოალიციის „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ.

პრეზიდენტის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს მიაჩნიათ, რომ მათ კრიტიკოსებს არ აქვთ მორალური უფლება, განიხილონ ადამიანის უფლებები და კანონიერებანი. „ყრილობის ორგანიზატორის ნანა კაკაბაძის კომპეტენცია ამ საკითხებში შეზღუდულია იმით, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში იყო კანონიერი ქურდის ჯაბა იოსელიანის თანამებრძოლი“, — შეგვახსენა პარლამენტის წევრმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ დავით დარჩიაშვილმა.

დამოუკიდებელ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ „პოლიტპატიმრების ყრილობის“ უკან ხელისუფლება დგას. „როგორც ჩანს, ივანიშვილი ამზადებს მასშტაბურ რეპრესიებს პრეზიდენტის თანამებრძოლების წინააღმდეგ და მას სჭირდება უჩვენოს დასავლეთს, რომ, როდესაც აპატიმრებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს, ის ქართველი ხალხის ნებას ასრულებს“, — განმარტა ჩვენთან საუბარში პოლიტოლოგმა გიორგი ნოდიამ.

Коммерсантъ

საკაშვილის პარტიამ შეიძლება კომუნისტური პარტიის ბედი გაიზიაროს

თბილისში ყოფილმა პოლიტპატიმრებმა ყოფილი ხელისუფლების გასამართლება მოითხოვეს

თბილისის სპორტის სასახლეში, რომელიც 10 ათას მაყურებელს იტევს, 19 მაისს ანშლაგი იყო. თუმცა, აქ შეიკრიბნენ არა სპორტული გულშემატკივრები, არამედ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი მოქალაქეები, რათა ჩამოეყალიბებინათ ახალი სახალხო მოძრაობა. იგი იბრძოლებს სააკაშვილის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვისთვის. ყრილობის დამფუძნებელი 190 ყოფილი პოლიტპატიმარი გახდა, რომლებიც გასული წლის ბოლოს ციხიდან „მეოცნებეთა“ მთავრობამ გამოუშვა.

„სამართლიანობა უნდა აღსდგეს. რეჟიმი უნდა დაიგმოს“, — ასეთი ლოზუნგით გაიმართა მიტინგი.

— ხელიდან რომ არ გავუშვათ ქართველი ხალხის გამარჯვება, საჭიროა, დავამყაროთ წესრიგი და პოლიტიკურად განვსაჯოთ მიხეილ სააკაშვილის 9-წლიანი რეჟიმი, — განაცხადა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში სამართალდამცველმა ნანა კაკაბაძემ.

მისი სიტყვებით, შარშან ოქტომბრიდან საქართველოს მთავარ პროკურატურაში შემოვიდა დაახლოებით 20 ათასი განცხადება, მათგან, ვინც თავს უკანონოდ დაზარალებულად მიიჩნევს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მართვის პერიოდში. პროკურატურა ასეთ შემოტევას ძნელად უმკლავდება. საზოგადოებაში ეს უკმაყოფილებას იწვევს, როგორც ის ვითარება, რომ ამჟამად პატიმრობაში იმყოფება მხოლოდ ყოფილი თავდაცვის და შინაგან საქმეთა მინისტრი ბაჩანა ახალაია. განსასჯელის სკამზე უნდა აღმოჩნდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სხვა ლიდერებიც, მიაჩნია კაკაბაძეს.

სპორტის სასახლეში შეკრებილებმა მოუწოდეს პარლამენტს შექმნას სპეციალური კომისია რეჟიმის დასაგმობად.

— ჩვენ ეტაპობრივად გადავცემთ მას განსახილველად ჩვენს ხელთ არსებულ განცხადებებს სააკაშვილის რეჟიმისგან დაზარალებულთაგან, — გვიზიარებს თავის აზრს სამართალდამცველი მელორ ვაჩნაძე.

— ჩვენ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, გამოაცხადოს წინა რეჟიმი კანონგარეშედ. არანაირი დათმობა! — აცხადებს ყოფილი პოლიტპატიმარი გიორგი სალუქვაძე.

იგი პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკია, რომელსაც ოთხი წლის პატიმრობა მიუსაჯეს 2011 წლის 26 მაისს რუსთაველის პროსპექტზე სააკაშვილის წინააღმდეგ მიტინგში მონაწილეობისთვის. ის დემონსტრაცია მკაცრად დაარბიეს, დაიღუპა სამი მისი მონაწილე და პოლიციელი.

— სააკაშვილის პარტია თავის ხალხის გენოციდს აწარმოებდა, ახლა კი ახალ ხელისუფლებას საბოტაჟს უწყობს, — ამბობს ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც ასევე ესწრებოდა კრებას სპორტის სასახლეში.

— მე 84 წლის ვარ. ჩვეულებრივი თბილისელი პენსიონერი. მაგრამ არ შემეძლო დღეს არ მოვსულიყავი აქ, რათა გამომეთქვა ჩემი დამოკიდებულება. სააკაშვილმა ქვეყანა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კატასტროფამდე მიიყვანა. ძალიან ვღელავ ხვალინდელი დღისთვის, ახალ ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება კრიზისის დაძლევა, — გვიზიარებს თავის აზრს ომისა და შრომის ვეტერანი ვალერი წამალაშვილი.

თავად „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ მისი აკრძალვის ინიციატორებისადმი დამოკიდებულება აქვთ, როგორც მორიგი მცდელობისადმი, მოახდინონ ზემოქმედება ოპოზიციაზე.

— პირადად პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ვერ იტანს კრიტიკას, ამიტომ არც მალავს, რომ სურს ჩვენი ლიკვიდირება. ასე რომ, ყველა „ინიციატივა ქვემოდან“ სინამდვილეში ინსპირირებულია „ქართული ოცნების“ მიერ, — განაცხადა ჩვენთან საუბარში დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ შოთა მალაშხიამ. — ხალხის რა გენოციდზე შეიძლება საუბარი, თუ ჩვენ მმართველობის წლებში გავაუმჯობესეთ ეკონომიკური სიტუაცია, გავუსწორდით კორუფციასა და კრიმინალს. ასე რომ, სახეზეა პოლიტიკური დაკვეთა.

ექსპერტმა საკონსტიტუციო უფლებების საკითხებში ავთანდილ დემეტრაშვილმა ჩვენს გაზეთს განუცხადა, რომ ქართული კანონმდებლობით ნებადართულია პოლიტიკური გაერთიანების აკრძალვა, თუ იგი არღვევს საკონსტიტუციო ნორმებს, მოქმედებს სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ. სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა განიხილოს.

პარტიის აკრძალვის პრეცედენტი სასამართლოს მეშვეობით საქართველოს თანამედროვე ისტორიაში არის. ეს მოხდა 1991 წელს საქართველოს კომუნისტურ პარტიასთან დაკავშირებით, როდესაც ქვეყანას სათავეში ზვიად გამსახურდია ედგა. მაშინ კომუნისტური პარტია მიჩნეულ იქნა დამნაშავედ და ანტისახალხოდ.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

ერაყელმა ბოევიკებმა ერთი ღამის განმავლობაში გაანადგურეს 24 ძალოვანი, დილით კი აფეთქეს კიდევ 40 კაცი

ღამე აღინიშნა ანბარის პროვინციაში პოლიციის პოსტებზე თავდასხმით. დილით კი სისხლიანი სტატისტიკა შეავსო ადმინისტრაციული ავტომობილების აფეთქებათა სერიამ ბაღდადისა და ბასრის შიიტურ კვარტალებში, სადაც უმთავრესად შიიტები ცხოვრობენ.

* * *

სირიის სამთავრობო ჯარებმა ოპოზიციონერებს წაართვეს საკვანძო ძალაძი სანაპიროსკენ მიმავალ გზაზე

კუსეირში გრძელდება მძიმე ბრძოლები. სახელმწიფო მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან, რომ დახოცილია 70 „ტერორისტი“, და ხელში ჩაგდებულია საკვანძო შენობები ქალაქის ცენტრში. ამას მეამბოხეები უარყოფენ და საუბრობენ 50 მსხვერპლზე. ოპოზიციონერები ამტკიცებენ, რომ შეტევაში მონაწილეობენ არა მხოლოდ ასადის ჯარები, არამედ „ხესბულახიც“, რომელმაც მძიმე დანაკარგები განიცადა.

* * *

ამერიკის სამ შტატს თავს დაახლოებით 20 ტორნადო დაატყდა. კანზასში მოხდა აეროპორტის ევაკუაცია

ოკლაჰომის შტატში ქალაქ შაუმიში სტიქიის მსხვერპლი ერთი კაცი გახდა. დაინგრა 100-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი. ელექტროგადამცემი ხაზების გაწყვეტის შედეგად დაახლოებით 10 ათასი კაცი უშუქოდ დარჩა. აღინიშნა მრავალრიცხოვანი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა.

* * *

აშშ-ში ახალი სარკინიგზო საგანგებო შემთხვევა მოხდა: რელსებს ასცდა მატარებელი — ახალი ორლიანი-ჩიკაგო

ავარია მოხდა ჩიკაგოში. მატარებელში 197 კაცი იყო. წინასწარი მონაცემებით, შემთხვევის შედეგად არავინ დაზარალებულა. ამ დროს კონექტიკუტში, სადაც პარასკევს ორი შემადგენლობა შეეჯახა ერთმანეთს, აპირებდნენ დაზიანებული მატარებლისგან გზის გათავისუფლებას ორშაბათისთვის.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ᲛᲐᲘᲫᲣᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲛᲔᲗᲥᲕᲐ, ᲗᲘᲗᲘᲥᲝᲡ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲡ ᲕᲘᲞᲐᲠᲐᲕᲓᲘ ᲓᲐ ᲒᲘᲐ ᲮᲣᲑᲣᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲥᲝᲜᲓᲐ“

ᲗᲡᲣ-ს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ყოფილი დირექტორი ᲗᲐᲛᲐᲠ ᲜᲔᲛᲡᲘᲬᲕᲔᲠᲘᲫᲔ For.ge-ს მეშვეობით დიმიტრი შაშკინს პასუხობს, რომ მისი ინფორმაცია, თითქოს, 2010 წლის გაზაფხულზე კიევში უკრაინელმა სამართალდამცავებმა დააკავეს საქართველოს რამდენიმე მოქალაქე, რომლებსაც აღმოაჩნდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბეჭდიანი მე-16-17 საუკუნის რარიტეტული წიგნები, სიცრუეა. ასევე, რეალობას არ შეესაბამება ისიც, რომ უკრაინელი სამართალდამცავების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექცია 2010 წელს შევიდა ბიბლიოთეკაში რარიტეტული წიგნების შემოწმების მიზნით.

— სინამდვილეში რა მოხდა?

— სინამდვილეში, 2007 წლის აგვისტოში საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ცენტრალურ შენობაში გატყდა ხელუხლებელი ფონდის საცავი, ოქტომბრის თვეში კი — აკადემიურ პერსონალთა სამკითხველო დარბაზის საცავი, სადაც ინახებოდა ლექსიკონები და ენციკლოპედიები. 2008 წლის 23 ივნისს სათანადო რეაგირებისთვის დამეწერა რექტორის — გია ხუბუას შიდა წერილი ბიბლიოთეკის დარბაზის საცავიდან წიგნების ქურდობის ფაქტზე, ამას წინ უძღოდა 2008 წლის 19 ივნისს რექტორ გია ხუბუას სახელზე შემოსული წერილი, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი ზ. ჭაია, საიდანაც ვიგებთ, რომ „როგორც გამოძიების პროცესში გაირკვა, 2008 წლის 8 მარტს უკრაინის სახელმწიფო საბაჟო შემოწმების გავლისას საქართველოს მოქალაქეს აღმოაჩნდა ძველი, მე-18-19 საუკუნის რუსულენოვანი წიგნები, რომლებიც შეჰქონდა საქართველოდან ნებართვის გარეშე, რის გამოც გადამოწმების მიზნით ჩამოერთვა საბაჟოს თანამშრომლების მიერ“.

წერილს თან ერთვოდა 19 დასახელების რუსულენოვანი წიგნის მონაცემები (ავტორი, სახელწოდება, გამოცემის წელი, ტომი). მე, როგორც ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს, უნდა გამეცა პასუხი წერილში დასმულ კითხვებზე, წარმოადგენდა თუ არა დანართში მოცემული წიგნები კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ნიმუშებს, იძებნებოდა თუ არა ისინი და ხომ არ იყო წიგნები გატაცებული საცავებიდან?

— ბიბლიოთეკის ხელმძღვანელად როდის დაინიშნეთ?

— ბიბლიოთეკის ხელმძღვანელად 2008 წლის 28 მარტს დავინიშნე. გამომდინარე იქიდან, რომ ვიცოდი 2007 წელს მომხდარი ფაქტების შესახებ, თანამშრომლების აქტიური ჩართვით დავიწყე წიგნადი ფონდის სრული შემოწმება (საინვენტარო წიგნის ჩანაწერების ადგილზე არსებულ წიგნებთან შედარება). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბიბლიოთეკაში 60 წელია, არ ჩატარებულა ფონდების სრული შემოწმება. მხოლოდ 1948 და 1952 წელს შემოწმდა წიგნები, რაც დასტურდება წიგნებზევე დასმული ბეჭდით, წარწერით — „შემოწმდა 1948 წელს“, „შემოწმდა 1952 წელს“.

ზემოთ მოცემული 19 დასახელების რუსულენოვანი წიგნების მონაცემები, პირველ რიგში, გადამოწმდა კატალოგებში, რის შედეგადაც მოიძებნა მხოლოდ 18 დასახელების წიგნი შესაბამისი საინვენტარო ნომრით, ანუ მოცემული დასახელების წიგნები ბიბლიოთეკაში უნდა ყოფილიყო. 19 დასახელების წიგნიდან 6 დასახელების წიგნი აღმოჩნდა ზემოთ მითითებულ 2007 წელს გატეხილ სტუდენტთა და აკადემიურ პერსონალთა სამკითხველო დარბაზის საცავში. იმის გამო, რომ 2008 წლის მარტიდან, პირველ რიგში, შევუდექით სტუდენტთა და აკადემიურ პერსონალთა სამკითხველო დარბაზის საცავის სრულ შემოწმებას, სამართალდამცავებს შემდეგი პასუხი გავეცი, რომ 6 დასახელების ენციკლოპედიები და ლექსიკონები (რაოდენობა 39 ცალი) საცავში არ აღმოჩნდა.

ამასთან, 12 დასახელების წიგნი საკატალოგო მონაცემების მიხედვით ინახებოდა 1 042 000-იან ფონდში. სამართალდამცავებისთვის სწორი პასუხის გასაცემად საჭირო იყო ფონდის სრული შემოწმება. ფონდების შემოწმების პროცესი გაგრძელდა და სამართალდამცავებს აღნიშნული ინფორმაცია ეცნობათ.

30.07.2010 წელს სათანადო რეაგირებისთვის ჩემს მოადგილეს — თამარ გიორგაძეს დაეწერა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის - რ. ხარბედიას შიდა წერილი 56 წიგნის თსუ-ს ბიბლიოთეკის საცავებიდან გატაცების ფაქტზე.

30.07.2010 ადმინისტრაციის ხელმძღვანელის - რ. ხარბედიას სახელზე შემოსული წერილიდან, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს შსს თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ნარსია, ვიგებთ, რომ „2008 წლის 8 მარტს კიევში ბორისპოლის აეროპორტში საქართველოს მოქალაქისგან ამოღებულ იქნა და ჩამოერთვა 19 დასახელების 56 ტომი ისტორიული და კულტურული ფასეულობის მქონე 1700-1800 წლებში გამოშვებული წიგნი, რომლებიც სავარაუდოდ, მოპარული უნდა ყოფილიყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან“. უნივერსიტეტის ადმინისტრაციიდან მიღებული წერილის საფუძველზე დადასტურდა, რომ 6 დასახელების წიგნი დაკარგული იყო უნივერსიტეტის საცავიდან, ხოლო დანარჩენის გადამოწმება ვერ მოხერხდა, ვინაიდან საცავებში არ იყო ჩატარებული შემოწმება. გამომდინარე იქიდან, რომ 30.07.2010 წელს უფლებამოსილება შეჩერებული მქონდა, სამართალდამცავებს საბოლოო პასუხი ჩემმა მოადგელემ, თამარ გიორგაძემ გასცა.

— განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექცია 2010 წელს მართლაც იყო შემოსული ბიბლიოთეკაში?

— დიახ. 01.07.2010 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის დიმიტრი შაშკინის ბრძანების საფუძველზე, ბიბლიოთეკაში ერთი დღით შემოვიდა განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამი თანამშრომელი. მათ თან ჰქონდათ წიგნების კოდირებული სია 39 საინვენტარო ნომრის მითითებით. მომთხოვეს, მიმეტანა საინვენტარო წიგნი, დამებარებინა ერთ-ერთი თანამშრომელი და მათთან ერთად ჩავსულიყავი 318-ე საცავში, რათა ადგილზე გადაგვემოწმებინა მათ ხელთ არსებული საინვენტარო ნომრები საინვენტარო წიგნთან.

— რატომ მაინცდამაინც 318-ე საცავი და საიდან აღმოჩნდა კოდირებული სია გენერალური ინსპექციის ხელში?

— 2008 წლის ივლისში 318-ე საცავში წიგნადი ფონდის შემოწმებისას მოხდა შემდეგი ფაქტი: საცავში მომუშავე თანამშრომელთა ჯგუფის ხელმძღვანელმა მითხრა, რომ საცავში უკვე გადამოწმებული და დალაგებული წიგნები არეული დახვდათ. სიტუაციაში გასარკვევად დავიბარე აღნიშნულ საცავში მომუშავე ყველა თანამშრომელი. თითოეული მათგანი ადასტურებდა, რომ დალაგებული წიგნადი ფონდი არეული იყო, მაგრამ არ იცოდნენ, ეს ვინ გაეკეთა.

ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᯠᲒᲣᲤᲘ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲨᲚᲐᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲐᲜᲘᲭᲔ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ. ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡᲐᲡ. ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲠᲘᲪᲮᲐᲕᲓᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲡᲐᲪᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲢᲔᲮᲘᲚᲐ, ᲡᲐᲪᲐᲕᲨᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᯠᲒᲣᲤᲘ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲨᲔᲓᲘᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ, ᲡᲐᲪᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲝᲓᲐ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲘ�გᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ.

— რატომ აღმოჩნდა ყველა ერთ-ერთ ადგილას ეს ნაკლული?

— ეს ფაქტი ჩემთვის ერთ-ერთ ენიგმად ითვლება. ეს ფაქტი ჩემ ოფისში, ჩემ ოთახში, ჩემ ეგოიზმში

◎ ჭიდაობის გადასარჩენად

ფილას ლალოვიჩი უთავკაცებს

2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან, სავარაუდოდ, ჭიდაობის ამოღების შესახებ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის განცხადებამ მთელი ჭიდაობის სამყარო შეაშფოთა: სასწრაფოდ გადააყენეს თანამდებობიდან ფილას პრეზიდენტი, შვეიცარიელი კალიტა — რაფაელ მარტინეტი, სოკ-ის მესვეურების გულის მოსაგებად სხვა რადიკალური ცვლილებების მიღებაც გადაწყვიტეს. ამ მიზნით ფილას წევრი ქვეყნების ჭიდაობის ფედერაციების ხელმძღვანელები მოსკოვში შეიკრიბნენ, სადაც შეცვალეს ფილას შიდა კონსტიტუცია, აირჩიეს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი და მნიშვნელოვნად შეცვალეს პაექრობის წესები. საგულისხმოა ისიც, რომ მარტინეტიმ საარბიტრაჟო სასამართლოს დახმარებით ფილას ბიუროს წევრის სტატუსი აღიდგინა, პრეზიდენტის თანამდებობაზე დაბრუნებაზეც ფიქრობდა და კენჭისყრაში მონაწილეობასაც გეგმავდა, მაგრამ საბოლოოდ რატომღაც გადაიფიქრა. კონგრესზე 132-დან 125-მა დელეგატმა მხარი დაუჭირა პრეზიდენტობის ერთადერთ კანდიდატს — სერბ ნენად ლალოვიჩს, რომელიც მარტინეტის გადაყენების შემდეგ ხელმძღვანელობდა ამ ორგანიზაციას.

ფილა-სგან სოკ-ისთვის გაგზავნილ ოფიციალურ წერილში ნათქვამია, რომ სპორტის ეს სახეობა უფრო სანახაობრივი გახდება, გაიზრდება მისი გეოგრაფია; ჭიდაობა თუ 2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში დარჩება, მაშინ ქალთა, ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ სტილებში ექვს-ექვს წონითი კატეგორია იქნება, თან თითოეულ წონაში მონაწილეთა რაოდენობაც ოდნავ შემცირდება.რაც შეეხება 2016 წლის რიო დე ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებს, იქ უწინდებურად ქალებში მედლების 4, ხოლო ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის — 7-7 კომპლექტი გათამაშდება.

მოსკოვში გამართულმა კონგრესმა დაამტკიცა ახალი წესები, რომლებიც უკვე შევიდა ძალაში და უახლოეს ტურნირებზევე ამოქმედდება. კერძოდ, ყოველი შეხვედრა ორპერიოდიანი იქნება, თითოეული სამ-სამი წუთით, მათ შორის დასასვენებლად სპორტსმენებს 30 წამი მიეცემათ. გაუქმებულია ოვერტაიმი და კლინჩი, მეტოქის ხალიჩიდან გაყვანის გამო ქულის მიღებისა და ბურთულის ამოღების წესი. თუკი პერიოდის პირველი ორი წუთი ისე ჩაივლის, რომ ქულის აღებას მოჭიდავეები ვერ შეძლებენ, მაშინ მსაჯები გამოავლენენ პასიურ სპორტსმენს და ილეთის გასაკეთებლად 30 წამს დაუთქვამენ. თუ ამ დროს ვერ გამოიყენებს, მაშინ ქულას მეტოქე მიიღებს (ვფიქრობთ, რომ სუბიექტური მსაჯობის პრობლემა ისევ გადაუჭრელია), ანგარიშში ჩამორჩენილ მოჭიდავეს პერიოდის გადასარჩენად ნახევარი წუთი დარჩება.

აქამდე წინასწარი ეტაპის შეხვედრები 13 საათიდან იწყებოდა, რის გამოც ფალავნებს ორთაბრძოლებს შორის დასასვენებელად ზოგჯერ დრო არ ჰყოფნიდათ. ახლა კი შეჯიბრების მონაწილეები 10 საათიდან იჭიდავებენ, რაც ამ პრობლემას მოაგვარებს. ახალი პრეზიდენტის განცხადებით, ცვლილებები კიდევ გაგრძელდება და ჭიდაობის საერთო სახე ტურნირიდან ტურნირამდე დაიხვეწება. გადაუწყვეტელი დარჩა წილისყრის ჩატარების სისტემა. კონგრესის წევრები ამჯერად რატომღაც არ დაეთანხმნენ განთესვის სისტემას, რაც ფავორიტების საწყის ეტაპზევე ერთმანეთთან დაპირისპირებას გამორიცხავს, თუმცა, ლალოვიჩის თქმით, მსოფლიოს ჩემპიონატამდე (ბუდაპეშტი, 16-22 სექტემბერი) ეს პრობლემაც მოგვარდება.

ლექსო ცინცაძე

◎ ჩოგბურთი

გურამ თოხაძის სახელობისა

წლეულს მეცამეტედ გათამაშდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული მუშაკის, ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე გურამ თოხაძის სახელობის თასი. შეჯიბრებაში თბილისის, ბათუმის, თელავისა და გორის 100-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.

ბატონი გურამი ნახევარ საუკუნეზე მეტია, ნორჩ ჩოგბურთელებს სპორტის ამ ელიტარული სახეობის ანაბანას ასწავლის. მისი აღზრდილები არიან ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ლეილა მესხი, სახელოვანი ჩოგბურთელები — დავით კაჭარავა, ეკა თოხაძე, მარგალიტა ჩახნაშვილი, ნიაზ ჟორდანია, ვლადიმერ და ნუკრი ასათიანები, თათია მიქაძე, გიორგი რევაზიშვილი, ირაკლი უშანგიშვილი და სხვები. წლების სიმძიმით მხრებდახუნძლული ამჟამადაც საყვარელ საქმეს ემსახურება. თასის მე-13 გათამაშებაშიც ბევრი მისი აღსაზრდელი მონაწილეობდა. უფროს ასაკში სწორედ თოხაძის მოსწავლემ — 16 წლის სანდრო მეფარიძემ გაიმარჯვა. სანდროს მძიმე ტრავმის გამო ორი წელიწადი არ უვარჯიშია. თუმცა, კორტზე დაბრუნება პირველი ადგილით აღნიშნა. ნახევარფინალში დედაქალაქელ გრიგოლ კობახიძეს აჯობა — 6:2, 2:6, 7:4, ფინალში კი ბათუმელი არტიომ კუშნარიოვი დაამარცხა — 6:1, 4:6, 7:4..

გოგონებში საუკეთესო იყო 18 წლის ესთერ სარქისიანი, რომელსაც თანატოლებში თბილისისა და ერევნის საერთაშორისო ტურნირებშიც უასპარეზია. ნახევარფინალში მან ნატალია სიმონიშვილს სძლია — 6:2, 6:3, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად კი შორენა თათულიშვილი დაჯაბნა — 7:5, 6:0. ორივე გამარჯვებული გურამ თოხაძემ დააჯილდოვა.

პრიზების მფლობელები გამოვლინდნენ უმცროს ასაკშიც: **14-წლიანებში** — სვეტლანა ავსაჯანიშვილი და სანდრო ჭადაშვილი (ორივე — თბილისი), **12-წლიანებში** — ელენე იმნაიშვილი (ბათუმი) და ნიკა ქავთარაძე (თბილისი), **10-წლიანებში** — ანა ბეკურიშვილი (თბილისი) და ნიკა ჟორდანია (ბათუმი).

ლაშა დიდია

სურათზე: გურამ თოხაძე თასის მფლობელებთან.

ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ კვალი სპორტში

„ჩხვლეტები“ ექიმისგან

ეს იყო ზუსტად ნახევარი საუკუნის წინათ — 20 წლის ნიკოლოზ ანდრიაძემ ბელგიის ქალაქ გენტში ახალგაზრდებს შორის რაპირით ფარიკაობაში მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. და აი, 50 წლის შემდეგ, უკვე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ვეტერანთა ევროპის ჩემპიონატზე, ისევ რაპირათი, ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ცნობილი ქართველი პოეტის — ტიციან ტაბიძის ბუთხუზა შვილიშვილი (ნიტა ტაბიძის ვაჟი) ნიკოლოზ ანდრიაძე წონის დასაკლებად მშობლებმა მაშინდელ პიონერთა სასახლეში, ერთ-ერთი მეგობრის რჩევით, ფარიკაობის სექციაში ანტონ ფიოდოროვთან მიიყვანეს.

— მართალი გითხრათ, თავიდან არ მომეწონა და „პროფილის“ შეცვლაც მინდოდა, მაგრამ იური ოსიპოვის, გურამ ჯაიანის, გივი ცაგარელის, რეზო ცირეკიძის, გოგი გოგელიას და სხვათა ცეცხლოვან ფარიკაობას რომ ვუყურებდი, მეც ეშხში შევედი და შემოვრჩი მუშკეტერთა რიგებს, — იგონებს გარდასულ დღეებს ვეტერანი სპორტსმენი, — კარგი მწვრთნელი იყო ფიოდოროვი და კარგი შეგირდებიც ჰყავდა, რომლებმაც დიდ სარბიელზე ასახელეს საქართველო.

— პირველ წარმატებას როდის მიაღწიეთ?

— 1957 წელს. მოსკოვში სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ საკავშირო პირველობაზე უნდა წასულიყო საქართველოს ნაკრები. იმ დღეებში გუნდის ერთ-ერთი წევრი ავად გახდა და მის ნაცვლად მე წამიყვანეს. ყველას გასაკვირად, ჩემს ასაკში „სპარტაკის“ ჩემპიონი გავხდი. მომდევნო წელს კი ტიტული შევინარჩუნე და მწვრთნელებმაც ირწმუნეს, რომ მეც შემეძლო დიდ სარბიელზე გამარჯვებების მოპოვება.

— უმაღლეს სასწავლებელს ხელი ხომ არ შეუშლია?

— პირიქით, სწორედ სტუდენტობის წლებში მქონდა ზეობა. 1960 წელს სამედიცინო ინსტიტუტში ჩავაბარე: მამა და ბაბუა ექიმები იყვნენ და მეც მათი გზა ავირჩიე. იმ წელიწადს ტრიდევნო წელს საკავშირო ნაკრების მწვრთნელები ისევ მენდნენ და მეც არ გამიწბილებია ისინი. გენტში კურტიემ ოჯახის წევრებიც კი ჩამოიყვანა, რომ მათთან ერთად აღენიშნა ტიტულის შენარჩუნება. წინასწარი შეხვედრების შემდეგ ფინალში ოთხნი გავედით. პირველსავე ორთაბრძოლაში სწორედ ფრანგს ვძლიე 5:1 და რევანში ავიღე. შემდეგ ერთნაირი ანგარიშით — 5:3 ვაჯობე რუმინელ დრიმბას, ავსტრიელ ლოზერტის და მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი. ცხადია, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— ამგვარი წარმატების შემდეგ აქტიურ სპორტს ზურგი რატომ აქციეთ?

—1966 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრე და მოსფონ მესხთან გადავედი სავარჯიშოდ და წარმატებებმაც იმატა. 1961 წლიდან ზედიზედ სამჯერ ახალგაზრდებში საკავშირო პირველობა მოვიგე, 1962 წელს ქაიროში მსოფლიოს პირველობაზე გავემგზავრე. რამდენიმე მეტოქეს ვძლიე, მაგრამ მომავალ ფრანგ ჩემპიონ კურტიესთან მარცხის შემდეგ მე-ნ ადგილზე გავედი. მომკოვის კარდიოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩავირიცხე ევგენი ჩაზოვთან. პირველ წელიწადს მაინც განვაგრძობდი ფარიკაობას, 1967 წელს მოსკოვის ჩემპიონობაც მხვდა — ფინალში სახელოვან მოფარიკავეს მარკ მიდლერს ვძლიე, რომელმაც მომდევნო წლებში საბჭოთა ნაკრებთან ერთად, მგონი, შვიდჯერ მოიპოვა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონობა. ასპირანტურის მეორე-მესამე კურსებზე ერთდროულად ორ ფრონტს ვეღარ გავწვდი, რადგან დისერტაციაც მქონდა დასამთავრებელი. სპორტს შეველიე — მედიცინამ გადამძალა. 1970 წელს საკანდიდატო, 1987 წელს კი სადოქტორო დისერტაციები დავიცავი. მაქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, 10 წელიწადია, შპს „კარდიო-რეანიმაციული ცენტრის“ დირექტორი ვარ.

— და მაინც, ფარიკაობას ბოლომდე ვერ შეელიეთ...

— დიახ. 1992 წელს გავიგე, რომ ვეტერანებში იმართებოდა მსოფლიოს ჩემპიონატები. გადავწყვიტე, მეც მომესინჯა ძალები. საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ლუდვიგ ღაღანიძის ხელმძღვანელობით ვარჯიში განვაახლე. 60-წლიანებში რამდენჯერმე ვიასპარეზე, არაერთხელ გავედი მეხუთე-მერვე ადგილებზე. მედლამდე ყოველთვის სულ რაღაც მაკლდებოდა. და აი, წლეულს იტალიაში ერთდროულად ორი იუბილე — დაბადებიდან 70-ე და მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვებიდან 50-ე წელი ბრინჯაოს მედლით აღვნიშნე. ნახევარფინალში რუსეთელ გარი ავთანდილოვთან დავმარცხდი, არადა, 2008 წელს საფრანგეთში მსოფლიოს პირველობაზე მას 5:1 მოვუგე და მე-5 ადგილი დავიკავე. არა უშავს... წლეულს ოქტომბერში ბულგარული ვარნა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს და რევანშს იქ ავიღებ.

ესაუბრა
ვაჟა დანელია

სურათზე: ნიკოლოზ ანდრიაძე (მარჯვნიდან პირველი) ევროპის ჩემპიონატის კვარცხლბეკზე.

ისევ ისინი

ერთ კვირაში პარიზის „როლან გაროსის“ კორტებზე დაიწყება სეზონის მთავარი თიხნარისსაფარიანი ტურნირი, რომელიც დიდი შლემის ერთ-ერთი ასპარეზობა იქნება.

საფრანგეთის დედაქალაქში ჩასვლამდე საჩოგბურთო ელიტამ ძალები რომის „მასტერზე“ მოსინჯა. როგორც მოსალოდნელი იყო, მთავარი პრიზი ასეთ გრუნტზე თამაშის დიდოსტატებმა მოიპოვეს. გაუწყებთ დასკვნითი შეხვედრების შედეგებს.

ქალები

სერენა უილიამსი — ვიქტორია აზარენკა 6:1, 6:3.

კაცები

რაფაელ ნადალი — როჯერ ფედერერი 6:1, 6:2.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჰოკეი

მეცხრედ!

მსოფლიოს ჩემპიონატის თანამასპინძელმა შვედეთმა ორწლიანი შესვენების შემდეგ დაიბრუნა პლანეტის საუკეთესო გუნდის ტიტული, მთლიანობაში კი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მეცხრედ ავიდა.

ფინალში „ტრე კრუნურმა“ სტოკჰოლმის „გლობენზე“ დასრულებული ფორუმის აღმოჩენა შვეიცარია დაჯაბნა — 5:1, ვისთანაც ჯგუფურ რაუნდში დამარცხდა. სხვათა შორის, სენსაციის სუნი გადამწყვეტ ბრძოლაშიც დატრიალდა, როცა სტუმრებმა ანგარიში გახსნეს, მაგრამ...

მატჩი III ადგილისთვის. აშშ — ფინეთი 3:2 (ბულიტებით. ძირითადი დრო — 2:2).

გიორგი შოთაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

იმერეთის მონატრება საგამოფენო დარბაზში

მუზეუმების საერთაშორისო დღე, 18 მაისი, რა თქმა უნდა, საქართველოშიც აღინიშნა, თუმცა, განსაკუთრებული გამოდგა იგი საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეისთვის, სადაც დიდი ქართველი მხატვრის დავით კაკაბაძის ნამუშევრები გამოიფინა. აღსანიშნავია, რომ აქამდე დავით კაკაბაძის შემოქმედების ასეთი ფართო გამოფენა არ გამართულა. დამთვალიერებელს საშუალება აქვს იხილოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში, კერძო კოლექციებსა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მუზეუმში დაცული 100-ზე მეტი ფერწერული ნამუშევარი, აბსტრაქცია და ფოტო. ჰოდა, როგორ არ შევაქო ამ უმნიშვნელოვანესი კულტურული მოვლენის ორგანიზატორები – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და დავით კაკაბაძის ფონდი.

...უამრავი დამთვალიერებელი ჰყავს გალერეის ზედა და ქვედა სართულების დარბაზებში გამოფენილ ავტოპორტრეტებს, საბჭოთა პერიოდის ნახატებს, ბიოგრაფიულ წიაღსვლებს, სხვადასხვა ჟანრსა და მიმდინარეობას, რომელსაც, განსაკუთრებით საფრანგეთში ყოფნისას, თავისებურად ასახავდა დავით კაკაბაძე... მაგრამ იმერეთი, მისი მშობელი იმერეთი, როგორც ვიცით, განსაკუთრებულია მხატვრის შემოქმედებაში...

„დავით კაკაბაძემ ისე ასახა იმერეთის გორაკებიდან დანახული სამყარო, – ამბობს ხელოვნებათმცოდნე ქეთევან კინწურაშვილი, – თითქოს გადაუფრინაო მშობლიურ მხარეს, როგორც კუბიზმის და აბსტრაქციის ეპოქის მხატვარს, მას დროის და სივრცის გამახვილებული შეგრძნება ჰქონდა. ის ფართო მასშტაბში აღიქვამდა ხილულ სინამდვილეს და შესატყვის მხატვრულ სახეებს ქმნიდა. ფერადოვან მონაკვეთებად დანაწევრებული მიწის ზედაპირი მის სურათებში ხალიჩასავით ეფინება ფერდობებს“.

ჰოდა, ვათვალიერებ კარგად ნაცნობ „იმერულ პეიზაჟს“, „წითელ მთას“, თვალზე ცრემლს მიკიაფებს „იმერეთი, დედაჩემი“... „იმერული ნატურმორტი“... და იმერეთს მანატრებს ჩვენი სასიქადულო მხატვარი... იგი ქვემო იმერეთის სოფელ კუხში დაიბადა 1889 წელს, შემდეგ იყო ქუთაისის გიმნაზია, შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი და დმიტრიევ-კავკაზსკის კერძო სამხატვრო სტუდია. 1918 წელს იგი საქართველოში ბრუნდება და მისი ნახატების გამოფენამ ისეთი ინტერესი გამოიწვია, რომ დავით კაკაბაძე, რამდენიმე ახალგაზრდა მხატვართან ერთად, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ პარიზში მიავლინა, სადაც მან 1927 წლამდე დაჰყო და მრავალ სიახლეს თუ მიმდინარეობას ეზიარა – შეუძლებელია დავით კაკაბაძეზე, როგორც ხელოვანზე საუბარი ფოტოსა და კინოს გარეშე (მისი უამრავი ფოტონამუშევარია წარმოდგენილი გამოფენაზე). ყმაწვილობაში შეგროვილი ფულით მას ფოტოაპარატი შეუძენია და ნიადაგ მომარჯვებული ჰქონდა. ასეთივე იყო მისი ინტერესი კინოს მიმართ. 1922-23 წლებში მან კინოსაპროექციო აპარატი შექმნა და დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყნიდან პატენტი მიიღო.

საბჭოთა სამშობლოში დაბრუნებულ მხატვარს, ცხადია, „პარიზული“ აზროვნება აღარ გამოადგებოდა. მუშაობდა კინოსა და თეატრის მხატვრად, ასწავლიდა სამხატვრო აკადემიაში, მაგრამ მისი შემოქმედება სოცრეალიზმის პრინციპებისთვის შეუთავსებელი ეჩვენათ და დავით კაკაბაძე აკადემიიდან დაითხოვეს. იგი იძულებული შეიქნა წერილი მიეწერა სტალინისთვის (დარბაზში გამოფენილია ეს წერილი) და ეამბნა თავისი გასაჭირი, მაგრამ არავითარი პასუხი ბელადისგან.

დავით კაკაბაძე გულის ინფარქტით გარდაიცვალა 1952 წელს, თუმცა, დარჩა სახელი ჭეშმარიტი, ავანგარდული ნაწარმოებების შემქმნელი მხატვრისა, რაშიც დიახაც დარწმუნდება სამხატვრო გალერეაში შესული დამთვალიერებელი.

ლექსები – საჩუქრად დედას

ლექსების კრებულის შესავალიც კი ორიგინალური, მართლაც გულიდან ამონამღერია დავით ტიგინაშვილისა. გარდაცვლილ დედას ესაუბრება პოეტი, ახალი წიგნის გამოსვლას ახარებს მშობელს. „პირველი ეგზემპლარი სასაფლაოზე, შენთან მომაქვს დედა... ჩემთვის დღეს მთავარი შემფასებელი შენა ხარ, დედა... ვიცი, ვგრძნობ და ვხედავ ყველაფერს დედა... ვიცი, ძალიან გიხარია დედა... ჩვენი შეხვედრის შემდეგ ამ წიგნს გულზე გადაგიშლი და ჩემს მოსვლამდე შენს სასაფლაოზე დავტოვებ საჩუქრად, დედა“...

„გულიდან ამონამღერი“ ჰქვია დავით ტიგინაშვილის ამ კრებულს, რომელშიც იბეჭდება პოეტის როგორც ადრეული, ისე უახლოეს წლებში შექმნილი საუკეთესო ლექსები, მკითხველს საშუალება ეძლევა უფრო სრულყოფილად წარმოიდგინოს დავით ტიგინაშვილის (ივრისპირელის) შემოქმედებითი გზა.

ეს გზა კი გარეკახეთში, ივრისპირეთში, გოგლა ლეონიძის დალოცვით დაიწყო და დღეს უკვე ამ კრებულში შესანიშნავ პოეტს ვეცნობით, რომლისთვისაც მშობელი, სამშობლო, ლამაზი ქალის ტრფიალი და სამეგობრო გამხდარა ლექსის მუზა და გულიდან ამონამღერი ყოველი სტრიქონი.

რამ დაგაღონა, ჩემო ქვეყანავ,
კვლავაც გამოვცლით ღვინის ფიალებს...
აქ ხომ ქრისტეს და დედაღვთისმშობლის
ღვთიური კვართის მადლი ტრიალებს!

რა თქმა უნდა, ყოველ ნაწარმოებში მისი ავტორი ამოიცნობა ხოლმე. დავით ტიგინაშვილის ლექსების უმრავლესობა ზედმიწევნით გვიხატავს პიროვნებას, რომლისთვისაც „სამშობლო უმთავრესია“ და არც მადლიანი კახური სუფრა ეუცხოება.

ლომი დაგიბამს,
დიდებულო ღვინოვ ქართულო,
ვაზის კვირტებო,
როგორც იქნა გამოვიზამთრეთ...
ამ რქაწითელმა
უკვდავების ძუძუ მაწოვა –
ღვინოში ჩაყრილ
დედის პურით გამოვიზარდე.

ნაღდია დავით ტიგინაშვილის ეს სტრიქონებიც:

ჯერ ისევ ლომივითა ვარ,
დღე და ღამ ვეტრფი ქალებსა,
სისხლი მაქვს, როგორც ხარ-ჯიხვი,
ჭიუხში ვრეკავ ზარებსა.
ცხოვრებავ, ვიცი წამლეკავ
ნიკალას ძველი ფუნჯივით,
მე მაინც ტკბილად გიმღერებ
საწყალი იეთიმ-გურჯივით.

კვლავაც გემღეროს, ჩვენო დათო, ასე გულით გემღეროს!

ვილენ მარდალეიშვილი

სანთელი

დოდო კვერნაძე

თავისი დროის თბილისის ერთ-ერთი ულამაზეს მანდილოსანთაგანი...

იმ თბილისისა, რომელიც ლამაზი გოგონების ნაკლებობას არასოდეს უჩიოდა, მაგრამ ის, 50-60-იანი წლების ეპოქა, მაინც სხვა პეწისა და სილამაზის, დღევანდელისგან განსხვავებული სტანდარტების ეპოქა იყო. მაშინ, მართალია სილამაზის კონკურსები არ იმართებოდა, მაგრამ საზოგადოებამ მაინც ზეპირად იცოდა მაშინდელი ფერიების სახელები. და არა მხოლოდ იმათი, რომელთა სილამაზეც, მათივე პროფესიების გამო, უფრო რეკლამირებული იყო და, აქედან გამომდინარე, სრულიად დამსახურებულად ითვლებოდნენ იმდროინდელი სილამაზის ეტალონებად, არამედ იმათიც, ვინც ოფიციალურად (თუ შეიძლება ასე ითქვას) აღიარებულ პრინცესა-დედოფლებში არ მოიაზრებოდნენ, მაგრამ, ამის მიუხედავად, სილამაზეში ტოლს არ უდებდნენ არავის – და ეს ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე...

დოდო დეიდა, ჩვენი დოდო ექიმი, ან უბრალოდ „ნოევნა“, ასე ვეძახდით ამ ულამაზეს მანდილოსანს მისი ვაჟების – პაატა და თემურ დვალიშვილების საძმაკაცოში, რომელთა შვილები დოდო ექიმის ხელში „გამოიჭყლიტნენ“ და დიდი მადლობა მას ამ შეუფასებელი ამაგისთვის...

ამ სტრიქონებით მივულოცე შარშან ქალბატონ დოდოს 80 წლის იუბილე. ახლა კი იგივე ტექსტით ვაცილებ საიქიოს.

ნათელში გამყოფოს მამაზეციერმა, ჩვენო დოდო დეიდა...

შენი დათო მხეიძე

ხსოვნა

კუკური აბუთიძე

კიდევ ერთი კარგი მოყმე გამოაკლდა ჩვენს რიგებს – გარდაიცვალა საქართველოს ენერგეტიკის ღვაწლმოსილი მოამაგე, ჩვენი კუკური აბუთიძე, ვინც კი იცნობდა ამ შესანიშნავ პიროვნებას, არ შეიძლება რომ მის მიმართ კეთილად არ განწყობილიყო.

კუკური აბუთიძე დაიბადა 1938 წლის 18 ივნისს გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანში. საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1962 წელს ინჟინერ-ელექტრომექანიკოსის სპეციალობით და დაიწყო მისი საინტერესო გზა საქართველოს ენერგეტიკაში. იგი მუშაობას იწყებს ჯერ ქალაქ გურჯაანის ელექტროქსელების სარელეო დაცვის და ავტომატიკის სამსახურის უფროს ინჟინრად, ხოლო შემდეგ ინიშნება ამავე სამსახურის უფროსად. 1970 წლიდან კი გადაჰყავთ ამავე საწარმოს დირექტორის მოადგილედ, შემდეგ კი დირექტორად, დიდია მისი ღვაწლი კახეთის რეგიონის ელექტრომომარაგებაში.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავდა გურჯაანის ელქსელების განვითარების პროგრამა, რომლის თანახმად აშენდა 220 კვ. ელექტროგადამცემი ხაზი „მანავი“, ქვესადგური „გურჯაანი 220“, ჟინვალჰესთან დამაკავშირებელი 110კვ. ელექტროგადამცემი ხაზი და განხორციელდა ქსელების მთლიანი რეკონსტრუქცია-განახლება, შეიქმნა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ახალი სადისპეტჩერო ცენტრი და მრავალი სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბატონ კუკური აბუთიძის, როგორც ხელმძღვანელის საუკეთესო თვისებები, – ხელქვეითებისადმი ყოველთვის ყურადღებიანი და ამავე დროს მომთხოვნი, როგორც ადამიანი გულთბილი და კეთილი, იგი დიდი იუმორით დაჯილდოებული, საინტერესო და კოლორიტული პიროვნება გახლდათ.

ბატონ კუკური აბუთიძის 45 წელზე მეტი ხნის შრომითი საქმიანობა შესაბამისად დაფასდა, მას მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და მადლობა. საქართველოს ენერგეტიკოსები გულდაწყვეტილნი ვემშვიდობებით ჩვენს მეგობარს კუკური აბუთიძეს.

ნათელში ამყოფოს უფალმა მისი კეთილი სული!

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო,
საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი,
საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კეთილშობილი პიროვნება, ინსტიტუტის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, განყოფილების გამგე

რევაზ (ზაურ) ცისკარიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება გიორგი შერვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატის, ამავე კავშირის ყოფილი კონსულტანტის

ხათუნა ჭურღულიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მაია ჯაფოშვილს

მამის

გარდაცვალების გამო.

◎ ინფორმაცია

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვეს

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გარე დაცვის სამმართველოს №17 განყოფილების უფროსის მოადგილე, იუსტიციის ვიცეპოლკოვნიკი გია ჯანაშია სამსახურიდან დაითხოვეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სასჯელაღსრულების სამინისტროდან აცნობეს, გენინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით გაირკვა, რომ გია ჯანაშიას მხრიდან, მის სამსახურებრივ დაქვემდებარებაში მყოფ ჯარისკაცებზე ადგილი ჰქონდა სისტემატურ სიტყვიერ შეურაცხყოფას, ასევე უხეშ და რიგ შემთხვევაში დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ტესტი

ლამაზად ჭამას ვერ აკრძალავ...

სიბრძნე გვასწავლის: „ჭამა და სმა საჭიროა ისე და იმდენი, რომ ჩვენი ძალები ამით ახლდებოდეს და არა ითრგუნებოდეს“.

გაიარეთ ტესტი და გაიგეთ, ხომ არ უშვებთ აშკარა შეცდომებს იმაში, თუ როგორ მიირთმევთ.

1. ყოველდღიურად საუზმობთ, სადილობთ და ვახშმობთ?

ა) დიახ.

ბ) დამოკიდებულია კონკრეტულ დღეს ჩემს საქმიანობაზე.

გ) არა, ყოველთვის არა.

2. სამუშაოდან სახლში დაბრუნების შემდეგ რამდენი დრო გადის, სანამ მაგიდას მიუჯდებოდეთ?

ა) არანაკლებ ნახევარი საათისა.

ბ) საათი და მეტიც.

გ) ვცდილობ უმალვე რაღაც შევჭამო.

3. როგორ ირჩევთ კერძებს?

ა) ვჭამ, რაც მაქვს.

ბ) მათი საკვები ღირებულების შესაბამისად.

გ) ვჭამ ყველაფერს, რაც მომწონს.

4. ჩვეულებრივად, საჭმლის ჭამის დროს თქვენ;

ა) იცავთ წესს: „როცა ვჭამ, ვარ ყრუ და მუნჯი“.

ბ) ვერთვები ყველანაირ საუბარში.

გ) ვკითხულობ პრესას ან ვუყურებ ტელევიზორს.

5. ყოველთვის დიდხანს ღეჭავთ საჭმელს?

ა) არა, ეს ჩემი საქმე არ არის.

ბ) ერთნაირად არ გამოდის, ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენი დრო მაქვს.

გ) რასაკვირველია, კი.

6. ცხელი საჭმლის მიღების შემდეგ თქვენ, როგორც წესი, უმალვე იწყებთ ჩაის სმას?

ა) არა, ჩაის, მინიმუმ, ნახევარი საათის შემდეგ ვსვამ.

ბ) სხვადასხვაგვარად.

გ) დიახ, უმალვე.

7. თუ მიირთმევთ ღამით?

ა) დიახ, ხდება ხოლმე.

ბ) ექვსი საათის შემდეგ აღარ ვჭამ.

გ) აღარ ვჭამ დაძინებამდე სულ ცოტა ორი საათით ადრე.

8. იცავთ ცალ-ცალკე ჭამის პრინციპს:

ა) დიახ.

ბ) ხანდახან, მაგრამ მთლიანად ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

გ) არა.

9. ხშირად ჭამთ ხმელა პურს?

ა) ასეთი რამ ხშირად ხდება.

ბ) ზოგჯერ.

გ) პრაქტიკულად არასოდეს.

10. ცდილობთ დაიცვათ წესი: „დღის განმავლობაში თავი არ შეიზღუდოთ ჭამით, მაგრამ ჭამოთ პორციებად“?

ა) დიახ, რასაკვირველია.

ბ) ეს წესი ვიცი, მაგრამ მას ყოველთვის ვერ ვიცავ.

გ) არა.

ცხრილის გამოყენებით დაიანგარიშეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ა	1	2	3	1	3	1	3	1	3	1
ბ	2	1	1	2	2	2	1	2	2	2
გ	3	3	2	3	1	3	2	3	1	3

10-16 ქულა. მახვილსიტყვა სოკრატმა შენიშნა: „იმისთვის კი არ ვცხოვრობთ, რომ ვჭამოთ, არამედ ვჭამოთ იმისთვის, რომ ვიცხოვროთ“. თქვენ, ალბათ, ზრდილობიანი ბრძანდებით საკითხში, როგორ და როდის ჭამოთ, ამით ეხმარებით თქვენს ორგანიზმს იცხოვროს და იმუშაოს მაქსიმალური უკუგებით.

17-23 ქულა. თქვენ იცით ჭეშმარიტება, რომ ჭამით ნამეტანი გატაცება, ისევე როგორც ქედმაღლური უყურადღებობა მისადმი, უგუნურობაა, მაგრამ ზოგჯერ ეს გავიწყდებათ. არ გაწყენდათ იმისადმი, თუ როგორ მიირთმევთ, უფრო მეტი ყურადღება დაგეთმოთ, რათა საკუთარ თავს სამომავლოდ მისცეთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული იმ პრობლემებისგან გათავისუფლების გარანტია, რასაც არასწორი კვება იწვევს.

24-30 ქულა. დადგა დრო დაფიქრდეთ იმაზე, რომ შეიცვალოთ თქვენი ჩვევები, ვინაიდან, როგორც ჩანს, თქვენ დიდად არ ზრუნავთ იმისთვის, თუ როგორ ჭამთ. ეცადეთ პირველი ნაბიჯების სახით არ მიუჯდეთ სუფრას, როდესაც ძალიან დაიღალეთ ან ხართ გაღიზიანებული. ასეთი ჭამა სიკეთეს არ მოგიტანთ. ნუ მიირთმევთ სწრაფად, ეს საშუალებას მოგცემთ არ გამოძღეთ ზომაზე მეტად. წესად გაიხადეთ, დღეში მინიმუმ ორჯერ ნუ უგულებელყოფთ ცხელ საჭმელს.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონი ვანგელებთან

„არც ერთი რექტორი არ უნდა დარჩეს“

— კატეგორიულია პროფესორი ჯემალ მებონია, — ახალი, დროებითი რექტორის დანიშვნა, ახალი დეკანების არჩევა, ფაკულტეტების ისევ გამრავლება, გაუქმებული კათედრების აღდგენა, ადმინისტრაციის მთლიანი შეცვლა, სახელმწიფო გამოცდების დაბრუნება — აუცილებელია. მე არ ვამბობ, რომ ყველა უნდა განთავისუფლდეს, თუ საჭირო ჩათვალა ადმინისტრაციამ, შეიძლება ზოგიერთი დეკანი დარჩეს... ამაზე საუბარი არ არის. საუბარია სამართლიანობის აღდგენაზე უმტკივნეულოდ.

„რეზონანსი“

„მარგველაშვილს საპრეზიდენტო არჩევნების მოგება გაუჭირდება“

— ასე თვლის „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ლაღიძე, — ჩემთვის უცნობია, ივანიშვილმა რა კრიტერიუმებით შეარჩია გიორგი მარგველაშვილი, მაშინ, როდესაც მათ ჰქონდათ საშუალება, უკეთესი კანდიდატი დაესახელებინათ. თუნდაც იგივე ირაკლი ალასანია, რომელსაც გაცილებით მეტი რეიტინგი, მეტი განათლება და მეტი პოლიტიკური გამოცდილება გააჩნია.

„ახალი თაობა“

„ესენი არავის დასჯიან! არავის!“

— აცხადებს ფინეთიდან ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი, — საბჭოთა ხალხსულ ეგონა, რომ ცეკას ახალი ლიდერის მოსვლით რაღაცა გამოსწორდებოდა. ასეა ახლაც: სააკაშვილის ხელისუფლება და ივანიშვილის ხელისუფლება ერთი სისტემაა. ადამიანების ცვლილებებით ამ სისტემის შიგნით არაფერი გამოსწორდება!

„ასავალ-დასავალი“

„პოსტიდან უნდა გადადგეს გიგა ბოკერია“

— აცხადებს მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე, — მთავარი ჯერ წინაა, ჩემი ინფორმაციით, ივნისის შუა რიცხვებში უშუალოდ უშიშროების საბჭოს მიერ ორგანიზებული იქნება ახალი, გრანდიოზული აქცია. ამ ღონისძიებისგან განსხვავებით, რომელიც ჰომოფობიის წინააღმდეგ უნდა ჩატარებულიყო, ეს უკვე პირდაპირ იქნება გეიაღლუმი. სხვათა შორის, მოლაპარაკებები უკვე დამთავრებულია ევროპის რამდენიმე გეიკლუბთან და იგეგმება ამ ხალხის მასობრივი ჩამოყვანა თბილისში.

„ძრონიკა“

„გაიტანეთ სტრიპტიზბარი!“

რუსთავის მესხიშვილის ქუჩის №16 მცხოვრებლები წერილით მიმართავენ ადგილობრივ სამართალდამცველებს;

„ერთი თვეა, რაც რუსთავში სტრიპტიზბარი გაიხსნა და ცხოვრება ჯოჯოხეთად გვექცა. კომპეტენტური ორგანოები თუ ჩვენს მოთხოვნას არ გაითვალისწინებენ, იძულებული გავხდებით ამ ბარის კარი ავჭედოთ. პირველივე დღეებში მოვიქცეოდით ასე, მაგრამ მერე ვიღაც პროვოკატორი იტყოდა, აი, ნახეთ, ახლოს ეკლესია დგას და ხალხი მღვდლებმა წააქეზესო. მით უმეტეს, რომ ბარის მეპატრონე აზარბაიჯანელია. არ არის გამორიცხული, ვისაც ძალიან უნდა ქართული ეკლესიისთვის მოძალადის იმიჯის შექმნა და ჩვენში პროსტიტუციაც ეკლესიის წინააღმდეგ გამოიყენოს, არადა, ჩვენ მხოლოდ ძილი და სიმშვიდე გვინდა“.

„კვირის პალიტრა“

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ანეკდოტები

— **რად გინდათ კაბინეტში აკვარიუმი?** ჰკითხეს წარმატებულ ბიზნესმენს.

— მომენატრა არსება, რომელიც პირს იმიტომ არ აღებს, რომ ფული მთხოვოს.

* * *

ცოლმა ქმარს, საპარიკმახეროში თმის შესაჭრელად 100 ლარი მოსთხოვა.

— რა არის, ქალო, ნარკოზით იჭრი?

* * *

— **ეჰ, ჩემი საცოდავი ქმარი ჩვენი შეუღლებიდან ერთ კვირაში გარდაიცვალა.**

— **აცხონოს ღმერთმა, ბევრი არ უწვალია?**

* * *

მიხო გადმოვა თვითმფრინავიდან და შარვალი ჩაძვრება, აიწევს და თან ჩაიბურდღუნებს:

— **ხო შემჭამეს ამ სტიუარდესებმა, ხან შეიკარით, ხან გაიხსენით ქამრებიო.**

* * *

— **გეიგე, ჩვენი კაკოიე რომ მომკვდარა?**

— **არ გადამრიო, როდის, ბოშო?!**

— **დილის 4 საათზე.**

— **მაგიზა გეიღვიძა ასე ადრიანად მაგ უბედურმა?!**

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com